ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 4 მაისი, 2018 — №104 (7649) — ფასი: 50 თეთრი

„რა ვერ მოინელა ჩემი მეორედ გათხოვება. გაიქცნენ და ყელგამოჭრილი დატოვეს აქ“




გვ.7

ხაშურში ბესიკ ომიაძე მოკლეს

3 მაისიდან

„50 ცნობილი ქართველი ქალის 300 რეცეპტი“

წიგნი ა4 ფორმატისაა, აქვს მაგარი ყდა, დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე და მთლიანად ფერადია.




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

# „კობახიძეს, თალაკვაძესა და მდინარაძეს ივანიშვილი აღარ ენდობა“



გვ.2

გია ხუხაშვილი: „პოლიტსაბჭოში დატოვა ის ხალხი, რომლისგანაც ყოფილი პრემიერი სიურპრიზებს ელოდა“






გვ.3

## თორნიკე შარაშენიძე: „ოცნება“ და სააკაშვილი ამომრჩევლის ნერვებზე თამაშობენ“

## „მარგველაშვილი მაღალი კლასის პოლიტიკოსია და შესაბამისად იქცევა“



გვ.3

## ხორავას საქმის გამოძიების დეტალებით სახალხო დამცველი დაინტერესდა



გვ.2

ზაზა სარალიძე: „ბრიტანელი ექსპერტების გამოჩენამ კიდევ უფრო დამაბნია“

„ნიკა მელიას საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს“

## „ედლაინი“: „ჩვენმა კომპანიამ ტენდერი კონკურენტულ გარემოში მოიგო“

გვ.4

სამართალი გვ.7

## ოზურგეთში 17 წლის ბიჭმა ვენები დაისერა

„ლურჯი ვეშაპის“ მორიგი მსხვერპლი





## თემურ ბასილია საქართველოში დაბრუნებას აპირებს

ეკონომიკა გვ.6



## რომან კაკულია: „ეროვნული ბანკის რეგულაციები კარგი ცხოვრებით არ არის ნაკარნახევი, მაგრამ აუცილებელია“

როგორია ელექტროენერგიის ტარიფები ოკუპირებულ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში





## ირაკლი კოვზანაძემ საპარლამენტო ოპოზიციას ეკონომიკაში მიღწეული წარმატებები შეახსენა

ISSN 1987-9385

9 771987 938006

5 ზაქარია ქუცნაშვილი: „ბატონი ბიძინა მოფერებით შაქარიას მეძახის“

4 შოთა მალაშხია: „წესით, მარგველაშვილმა პრეზიდენტად კენჭისყრა ველარ უნდა გაბედოს“

5 დავით ლილუაშვილი: „პრეზიდენტს ნერვებმა უმტყუნა“

6 რა გავლენას მოახდენს აზიურ ქვეყნებზე ტრამპის სატარიფო პოლიტიკა?

# „კობახიძეს, თალაკვაძესა და მდინარაძეს ივანიშვილი აღარ ენდობა“

## გია ხუხაშვილი: „პოლიტსაბჭოში დატოვა ის ხალხი, რომლისგანაც ყოფილი პრემიერი სიურპრიზებს ელოდა“

შორენა მარსაგიშვილი

პარლამენტში მისულ გიორგი მარგველაშვილზე „ქართული ოცნების“ ახალგაზრდულმა ფრთამ ნამდვილი შტურმი განახორციელა. პრეზიდენტზე არც სხვა დროს ლოცულობდნენ, მაგრამ ამჯერად მეტისმეტი მოუვიდათ.

მათგან უკვე ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ ერის გაოცებას მაინც ახერხებენ. „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ფრთამ გიორგი მარგველაშვილს ტელედებატები შესთავაზა. ამ შეთავაზებას პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უხამსი წინადადება უწოდა.

ახალგაზრდა მეოცნებეების ასეთ მონდომებასა და გააქტიურებას საზოგადოება ბიძინა ივანიშვილს უკავშირებს. ექსპერტი გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ ამ ქმედებით ისინი ყოფილ



პრემიერს ეპრანჭებიან.

გაძლიერდა თუ არა ახალგაზრდა მეოცნებეების ფრთა, რატომ დატოვა ისინი ივანიშვილმა პოლიტსაბჭოში? – ამის შესახებ **გია ხუხაშვილი** „ახალ თაობას! ესაუბრება.

***– საპარლამენტო უმრავლესობის ახალგაზრდულმა ნაწილმა გიორგი მარგველაშვილს განსაკუთრებული შემართებით შეუტია. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს პარტიაში ივანიშვილის დაბრუნებას უკავშირდება. ისინი თითქოს უფრო თავდაჯერებულადაც გამოიყურებოდნენ. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

– მათი საქციელი არ არის თავდაჯერებულობა და არც სიახლეა. ისინი ყოველთვის ესხმოდნენ თავს პრეზიდენტს. ახლა განსაკუთრებულად მოინდომეს, რაც ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. პარლამენტი არის საბავშვო ბაღი, დეპუტატები კი ბაღის ბავშვები არიან და ისინი დაბრუნებულ მასწავლებელს ეპრანჭებიან. ყველას ხელი აქვს აწეული და ყვირიან: მე, მასწ, მე, მასწ.

რატომღაც ჰგონიათ, რომ პრეზიდენტს თუ შეუტევენ, ამით მასწავლებელს ასიამოვნებენ. აი, ამ საბავშვო ბაღთან და ინფანტილიზმათან გვაქვს საქმე. ბავშვებისგან განსხვავებით, ეს ინფანტილიზმი ქვეყანას ძალიან ძვირი უჯდება.

***– როცა თქვით, მასწავლებელს ეპრანჭებიანო, ჩაგეცინათ. ფიქრობთ, რომ მათი თავგამოდება ფუჭია და ივანიშვილს ეს არ მოეწონება?***

– ასეთი რაღაცა ვის უნდა მოეწონოს? არსებობს, ესიამოვნება და არსებობს, მოეწონება. ეს ორი სხვადასხვა რამეა. არც ივანიშვილსა და არც სხვას არ მოეწონება, როდესაც ადამიანები ასე იქცევიან. შეიძლება, ესიამოვნოს, როგორც ერთგულების დადასტურება.

ვიღაცას რაღაცა რომ სიამოვნებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის გამო მსიამოვნებელს პატივს სცემს.

***– ამ ახალგაზრდებმა პრეზიდენტს პარლამენტთან ტელედებატები შესთავაზეს. ამაზე რას ფიქრობთ?***

– ეს არის სრული სიბრიყვე. წინასაარჩევნო სატელევიზიო დებატები გამიგია, მაგრამ ინსტიტუტებს შორის სატელევიზიო დებატები – არა. ასე აბსურდამდე დაჰყავთ ყველაფერი, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ მათ აბსოლუტურად სწორად შევურჩიე სახელი – გადამწიფებული თინეიჯერები. დიახ, ჩვენ დღეს გადამწიფებულ თინეიჯერებთან გვაქვს საქმე.

***– ეს გადამწიფებული თინეიჯერები – კობახიძე, თალაკვაძე, მდინარაძე – ბიძინა ივანიშვილმა პარტიის პოლიტსაბჭოში დატოვა. არადა, ყველა ელოდა, რომ სწორედ მათ გაუშვებდნენ. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ „ოცნებაში“ ახლების ფრთა გაძლიერდა ან დაწინაურდა?***

– ისინი პოლიტსაბჭოში დარჩნენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახლების ფრთა გაძლიერდა. მართალია, პოლიტსაბჭოში ისინი დარჩნენ, მაგრამ არც მეორე ფრთაა შესუსტებული. ჩემი აზრით, ივანიშვილმა ისინი სულ სხვა მიზნით დატოვა პოლიტსაბჭოში.

***– რა მიზნით?***

– ვფიქრობ, რომ ივანიშვილისთვის პოლიტსაბჭო არის კლასი, სადაც ვიღაცას რაღაცა



უნდა ასწავლოს.

***– მხოლოდ ამ მიზნით დატოვა?***

– მხოლოდ ამ მიზნით არა. პოლიტსაბჭოში იმიტომ დატოვა, რომ გააკონტროლოს. თუ გინდა, რომ ადამიანი გააკონტროლო, ახლოს უნდა გყავდეს. საპარლამენტო უმრავლესობის დანარჩენ წევრებთან ამის არანაირი საჭიროება არ აქვს, ენდობა და დარწმუნებულია, რომ მათგან სიურპრიზები არ ელოდება. ვისგანაც ელოდებოდა, ისინი დატოვა კიდევაც პოლიტსაბჭოში. მის გადაწყვეტილებაში მე ეს უფრო დავინახე და არა ის, რომ ახლების ფრთა გააძლიერა.

# ხორავას საქმის გამოძიების დეტალებით სახალხო დამცველი დაინტერესდა

## ზაზა სარალიძე: „ბრიტანელი ექსპერტების გამოჩენამ კიდევ უფრო დამაბნია“

შორენა მარსაგიშვილი

ხორავას ქუჩაზე დატრიალებული ტრაგედიიდან 5 თვე გავიდა. ამის მიუხედავად, ამ საქმეში ბევრი რამ ისევ ბურუსით არის მოცული. სისხლიანი გარჩევის დროს მოკლული დავით სარალიძის მამა, ზაზა სარალიძე, ამბობს რომ საქმეში ბრიტანელი ექსპერტების ჩართვამ კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა საქმე.

ამ საქმის დეტალებზე ის გუშინ, 3 მაისს, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებსაც ესაუბრა. რა უთხრეს სახალხო დამცველის ოფისში და რა კავშირი აქვს სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელ ზვიად კუპრავას დაკავებას ხორავას ქუჩის ტრაგედიასთან? – ამ თემაზე „ახალ თაობას“ ზაზა სარალიძე ესაუბრება.

**ზაზა სარალიძე:**

– პირადად ნინო ლომჯარიასთან არ გვქონია შეხვედრა. ჩვენ მისი წარმომადგენლები გვესაუბრნენ. ვუთხარით, რა პრეტენზიები და ეჭვები გვქონდა გამოძიებასთან დაკავშირებით. მოგვისმინეს და გვითხრეს, რომ ყველაფერს გააკეთებენ, რაც მათ შეუძლიათ.

***– ეს შეხვედრა მათი ინიციატივით გაიმართა?***

– კი. ისინი იყვნენ შეხვედრის ინიციატორები. იმედია, მათი ჩართვის შემდეგ მაინც შეიცვლება რამე.

***– შეხვედრის დაწყებამდე თქვენ თქვით, რომ სახალხო დამცველის ოფისში ზვიად კუპრავას დაკავებაზეც ისაუბრებდით.***

– ამ თემაზეც ვისაუბრეთ. ზვიადი მხოლოდ იმიტომ დააკავეს, რომ ის სიმართლეს ამბობდა. სახალხო დამცველის აპარატი ამ საქმით დაინტერესდა. ისინი ზვიადის საქმის შესწავლასაც დაიწყებენ, მაგრამ ამის დასაწყებად საჭირო ყოფილა, რომ მათ კუპრავას ადვოკატმა ოფიციალურად მიმართოს.

ოფიციალური მიმართვა იქნება, სახალხო დამცველის წარმომადგენლებიც შეისწავლიან საქმეს. ყველა გაიგებს, თუ რა მოხდა სინამდვილეში.

***– ოფიციალური ვერსიით, კუპრავა პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო დააკავეს.***

– ეგ მხოლოდ ოფიციალური ინფორმაციაა. ზვიადი კანონმორჩილი ადამიანია და პოლიციას წინააღმდეგობას არ გაუწევდა. პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტი, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, არც სამხრე კამერების ჩანაწერებით დასტურდება.



პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით თუ დააკავეს, ოჯახს რატომ დაუმალეს ეს? ზვიადი ღამის 2 საათზე დააკავეს. დილამდე მას არც ოჯახთან და არც ადვოკატთან დაკავშირების უფლება არ მისცეს.

***– თქვენი ინფორმაციით, ის ნაცემი ხომ არ არის?***

– არა მგონია, აქამდე დაცემულიყვნენ, რომ მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა მიეყენებინათ.

***– თქვენ ეს დაკავება ხორავას ქუჩაზე მომხდარ სისხლიან გარჩევას დაუკავშირეთ, ამბობდით, რომ ყველაფერს აკეთებენ, რათა გზა მოგიჭრან და სიმართლე ვერ იპოვოთ. კუპრავამ ამ საქმეზე ბევრი სკანდალური დეტალი გაამჟღავნა. კიდევ რამე სკანდალური ინფორმაცია ჰქონდა?***

– კიდევ გავიმეორებ, რომ ზვიადის დაკავება პირდაპირ კავშირშია ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის გამოძიებასთან. ამ საქმეში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი და სკანდალური დეტალია.

ზვიადი ძალიან გვეხმარებოდა სიმართლის დადგენაში. ამის გამო ვიღაცები ძალიან შეწუხდნენ. პროკურატურამ მას ჯერ გაუთქმელობაზე მოაწერინეს ხელი, ახლა კი სამართალდამცავებმა დააკავეს.

მან ძალიან ბევრი სკანდალური ფაქტი გამოააშკარავა. ეს ფაქტები უკვე საკმარისი იყო იმისთვის, რომ მისი შეჩერება სდომებოდათ. მისი გაჩერება ასეთი იოლი არ არის. საზოგადოებისთვის სიმართლე მაინც გახდება ცნობილი. მე გაჩერებას არ ვაპირებ.

***– ხორავას საქმის შესწავლაში ბრიტანელი ექსპერტებიც ჩაერთვებიანო. თქვენი აზრით, მათი ჩართვა შეცვლის რამეს?***

– სიმართლე გითხრათ, დიდი მოლოდინი არ მაქვს. მათ გამოჩენამდე ექსპერტიზა მაია ნიკოლეიშვილს უნდა ჩაეტარებინა. ამას ერთ-ერთი ბრალდებულის მხარე ითხოვდა. ახლა ვიგებთ, რომ ექსპერტიზა გადაიდო, რადგანაც ეს ქალბატონი სადღაც წავიდა 2 კვირით. უკვე აღარ ვიცი, რა ვიფიქრო. ჩატარებული ექსპერტიზის პასუხიც გაურკვეველია. ამ ბრიტანელების გამოჩენამ დამაბნია. არ ვიცი, რა იქნება.

მე მხოლოდ ის ვიცი, რომ უნდა ვიბრძოლო, რათა სიმართლე დადგინდეს. ამაში კი საზოგადოების მხარდაჭერა დამჭირდება. ამით ჩემს შვილს ვერ გავაცოცხლებ, მაგრამ სხვისი შვილები იქნებიან დაცული.

***– საზოგადოების მხრიდან არ გრძნობთ მხარდაჭერას? სოციალურ ქსელში აქტიურად გიჭერენ მხარს.***

– ამისთვის ყველას დიდი მადლობა, მაგრამ მეტი აქტიურობაა საჭირო. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ სამართალი აღსრულდეს. ჩემი შვილის მეგობრებმა ერთი აქცია უკვე გამართეს. ბავშვების სურვილი იყო, რომ აქცია სასამართლოს მიმდინარეობის პარალელურად გამართულიყო.

შემდეგში აქციას არასამუშაო დღეს გავმართავთ. არ მინდა, ბავშვებმა სკოლა გააცდინონ. აქციას წინასწარ დავაანონსებთ. იმედი მაქვს, საზოგადოება მხარს დაგვიჭერს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თორნიკე შარაშენიძე: „ოცნება“ და სააკაშვილი ამომრჩევლის ნერვებზე თამაშობენ“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** აფასებს.

***– ბატონო თორნიკე, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლას ოპოზიციის გააქტიურებაც დაერთო. ჩვენ ვნახეთ ამსტერდამში სააკაშვილთან შეკრებილი ოპოზიციონერი ლიდერები. რისი შანსი აქვს ოპოზიციას და სააკაშვილთან და ნაციონალებთან გაიგივება ხომ არ დააზარალებს მათ?***

– სააკაშვილის მიზანია, რომ ის ნეგატივი, რომელიც მოჰყვებათ ნაციონალებს, უნდა გაანეიტრალოს ამ პარტიებთან გაერთიანებით. მეორე მიზანი მაინც რაოდენობაა. ამ ერთობაში ათზე მეტი პარტია მაინც მოიყრის თავს. ეს რაოდენობა თვალს მოსჭრის ამომრჩეველს და ეს მათთვის პოზიტივია. ამის იმედი აქვთ, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი. მე სააკაშვილის უფრო მეტ შანსს ვხედავ იმაში, რომ აშკარად მიმდინარეობს სისტემური კრიზისი „ოცნების“ შიგნით, რაც არც არის გასაკვირი.

***– რატომ არ არის გასაკვირი?***

– არაჯანსაღი სისტემაა შექმნილი ქვეყანაში და ამ არაჯანსაღმა სისტემამ დააზიანა როგორც ოპოზიცია, ასევე მმართველი პარტია და ეს უფრო აძლევს შანსს სააკაშვილსა და ზოგადად ოპოზიციას, რომ მმართველი პარტიის შიგნით სისტემური კრიზისია, ვიდრე ეს გაერთიანება.

***– ეს არაფრის მომტანია?***

– ზოგადად მას თავისი აზრი და ლოგიკა აქვს, მაგრამ ეს ნამდვილად არ იქნება საკმარისი, რომ ამით მოიგონ არჩევნები.

***– კიდევ რა უნდა გააკეთონ?***

– არ იქნება საკმარისი იმიტომ, რომ ადმინისტრაციული რესურსი ოცნების ხელშია და ის ნეგატივი, რომელიც ნაციონალებს აქვთ, რაც არ უნდა განეიტრალდეს სხვა პარტიებთან გაერთიანებით, „ოცნება“ მაინც მოახერხებს, სააკაშვილის საწინააღმდეგო კარტი გაათამაშოს, რომ მიშა არის ბუა, რომ ის არის სისხლისმსმელი, შეიძლება დაბრუნდეს, ისევ ციხეები და ასე შემდეგ. ამიტომაც ამ ეტაპზე ამ განლაგებით, რომელიც დღეს არის, მაინც „ოცნებას“ მეტი შანსი რჩება, თუ, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ამ კრიზისმა არ მიიღო უფრო სერიოზული სახე.

***– არსებობს ამის შანსი?***

– რეალურად არსებობს. თუკი ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ წარმოუდგენელი იყო იმაზე ფიქრი, რომ „ოცნებას“ შეიძლება წაეგო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, დღეს ეს შედარებით რეალური ხდება. უკვე არის იმის ალბათობა, რომ „ოცნებამ“ არჩევნები წააგოს.

***– სწორედ ამიტომ შემობრუნდა ივანიშვილი პოლიტიკაში? მან ეს საფრთხე დაინახა?***

– რა თქმა უნდა! ხომ ხედავთ, რა ხდება, ერთმანეთს ველარ ელაპარაკებიან, პირდაპირ კამერების წინ ჩხუბობენ „ოცნების“ დეპუტატები და ეს სადამდე შეიძლება წავიდეს?! თუ არ გააკონტროლა სიტუაცია, შეიძლება საქმე იქამდე მივიდეს, რომ საერთოდ აღარ იარსებოს „ოცნებამ“. შესაბამისად, უმთავრესი მიზანი ამ ეტაპზე საპარლამენტო უმრავლესობისა და რაღაც დონეზე ამ ერთიანობის გადარჩენაა, თუნდაც იმ დონეზე მაინც, რომ კამერების წინ არ იჩხუბონ და ერთიან პოლიტიკას დაუჭირონ მხარი.

***– ალბათ ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება საპრეზიდენტო კანდიდატს. ვინ იქნებიან ისინი, ამაზე ჯერჯერობით არც ოპოზიცია საუბრობს და არც მმართველი გუნდი. რას იტყვით თქვენ?***



– ეს მართლაც მნიშვნელოვანია. აშკარაა, რომ კვირიკაშვილი არ იქნება. პრინციპში, კვირიკაშვილი ძლიერი და კანონზომიერი კანდიდატი იქნებოდა. უკვე გავიგეთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა დათო მაღრაძეს შესთავაზა კანდიდატობა და კიდევ რამდენიმეს, თუმცა მათ უარი თქვეს. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ოცნებას“ არ ეყოლება ძლიერი და სერიოზული კანდიდატურა. უკვე აშკარაა, რომ მათი კანდიდატი პოლიტიკოსი არ იქნება.

***– რამდენიმე კანდიდატს შესთავაზეს და ყველასგან უარი მიიღესო.***

– კი, ასეა. შესაბამისად, აქაც იზრდება ოპოზიციის შანსები. იზრდება თუნდაც იმიტომ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ადმინისტრაციული რესურსი ნაკლებად მუშაობს. ამიტომ ოპოზიციას მეტი შანსი აქვს. ერთი კაცის არჩევაზეა ლაპარაკი. მაჟორიტარების დახარჯული ფული და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, როგორც ეს საპარლამენტო არჩევნებზე ხდება, ამ შემთხვევაში არ მუშაობს. აქ ერთ კაცს ირჩევენ.

***– ოპოზიციის ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ გიორგი მარგველაშვილი კვლავ კარგი კანდიდატურა იქნებოდა, თუმცა ბოლო პერიოდში მისი იმიჯი დაზარალდა. შეწყალებების თემამ რამდენად დააზარალა?***

– ალბათ დააზარალა, მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან გადაჭარბებული იყო ეს ბრალდებები, რომელსაც მისი მისამართით ვისმენდით. თუმც მაინც დააზარალა. ახლა ამას დაემატა ისიც, რომ თუ ოპოზიციის ძირითადი გაერთიანება წავა სააკაშვილის გარშემო, ყველა არა, რა თქმა უნდა. ჩემი აზრით, „ევროპული საქართველო“ არ წავა სააკაშვილთან, იქიდან გამომდინარე, რა პროცესებიც ახლა ხდება.

***– არ მოიაზრება ამ ერთობაში „ევროპული საქართველოო“.***

– დიახ და მე არა მგონია, რომ სააკაშვილის ირგვლივ გაერთიანებულმა ოპოზიციურმა სპექტრმა მარგველაშვილს დაუჭიროს მხარი, გამომდინარე იქიდან, რომ მარგველაშვილი და სააკაშვილი ერთმანეთისგან ძალიან შორს დგანან და ამიტომ ეს გაერთიანება მას მხარს არ დაუჭერს. არც „ევროპული საქართველო“ დაუჭერს მხარს და ეს გუშინ ძალიან კარგად გამოჩნდა პარლამენტის სხდომაზე, როცა ბოკერიამ დააფიქსირა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება მარგველაშვილის მიმართ. ამის შემდეგ, არა მგონია, მარგველაშვილი მათი კანდიდატი გახდეს. შესაბამისად, ვინ რჩება?!

***– თავისუფალი დემოკრატები...***

– დიახ, თავისუფალი დემოკრატები და შესაძლოა რესპუბლიკელები. ეს საკმაოდ სუსტი მხარდაჭერაა, პრინციპში. მათი ერთობლივი რეიტინგი მარგველაშვილის რეიტინგზე ბევრად დაბალია. მარგველაშვილს მათზე ბევრად მაღალი რეიტინგი აქვს.

***– დიდი მოლოდინი იყო, რომ მარგველაშვილი თავის პოლიტიკურ გეგმებზე ისაუბრებდა, თუმცა თავი აარიდა ამაზე საუბარს. რატომ?***

– შესაძლოა არც არის ჯერ ჩამოყალიბებული, რადგან მის გარშემო ისეთი რაღაცები ხდება, რომ ალბათ არც ეცალა ამაზე დაფიქრებისთვის, თუნდაც შეწყალების სკანდალიდან მოყოლებული.

***– შესაძლოა მარგველაშვილმა უარი თქვას მეორე ვადაზე?***

– მე ვფიქრობ, რომ ის ჯერ ჩამოყალიბებული არ არის.

***– როგორი იქნება ბალანსი ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის? ფიქრობთ, რომ „ოცნების“ კანდიდატი მოიგებს ამ არჩევნებსაც?***

– ამ განლაგებით, წესით, იგებს, მაგრამ, თუ დააყენეს მათ ძალიან სუსტი კანდიდატი და ჯერჯერობით საქმე აქეთკენ მიდის, ისინი ძლიერ კანდიდატს ვერ ნახულობენ და თუნდაც სააკაშვილის გარშემო გაერთიანებულმა ოპოზიციამ დააყენა ძლიერი კანდიდატი...

***– ვინ შეიძლება იყოს მათი კანდიდატი?***

– მაგალითად, საუბარია გრიგოლ ვაშაძეზე და ვაშაძესთან დებატები გაუჭირდება საქართველოში ნებისმიერ ძლიერ პოლიტიკოსს. თუ „ოცნებას“ ეყოლება სუსტი კანდიდატი, ჩათვალეთ, რომ ის დებატებსა და კამათში განადგურდება. ეს კიდევ დამატებით შანსს აძლევს ოპოზიციას.

***– თავად ივანიშვილის კანდიდატურა გამორიცხულია?***

– არ არის გამორიცხული, მაგრამ სარისკოა ივანიშვილისთვის. თუ საქმე იქამდე მივიდა, რომ მან პირველ ტურში ვერ გაიმარჯვა, ეს მისი იმიჯისთვის სერიოზული დარტყმაა. თუმცა არის ლოგიკა იმაში, რომ მან კენჭი იყაროს. შესაძლოა, სჭირდებოდეს სტატუსი. გვესმის მითქმა-მოთქმა, რომ ივანიშვილს სერიოზულად ეშინია რაღაცების და ამიტომაც სტატუსი სჭირდება. ამიტომ რისკი დიდია და მან კარგად უნდა აწონდაწონოს, რამდენად უღირს ამ რისკზე წასვლა. თუ აპირებს მონაწილეობას, მაშინ აქტიური მუშაობა უნდა დაიწყოს. ვნახოთ, ეს მალე გამოჩნდება.

***– თქვენს წინა ინტერვიუებში აცხადებდით, რომ სერიოზული სიურპრიზებია მოსალოდნელი. ეს სიურპრიზები ივანიშვილმა დაიწყო. კიდევ უნდა ველოდოთ?***

– აშკარად უნდა ველოდოთ. ბიძინას უყვარს აშკარად სიურპრიზები. ამაშია მისი ძალა. ის წინასწარ არასდროს ამხელს თავის ჩანაფიქრს და ამითაც არის ძლიერი. ასე რომ, შევხედოთ. რეალურად დღეს მოცემულობა ასეთია: საქართველოში არის ორი ძლიერი პოლიტიკური ცენტრი და მათი არცერთი ლიდერი არ არის საქართველოს მოქალაქე, ერთი უკრაინის მოქალაქეა, მეორე – საფრანგეთის. დღეს „ოცნებას“ აწყობს, რომ მის მთავარ კონკურენტად რჩებოდეს ნაცმოძრაობა, რომელსაც გარანტირებული 12% აქვს, მაგრამ მას მოჰყვება ნეგატივი. ეს კვლავ აშინებს ძალიან ბევრ მოქალაქეს. ეს მომენტი მათ ხელს შეუშლის არჩევნების მოგებაში. ამ არჩევნებზე გამოჩნდება კიდევ, რამდენად იმუშავებს სქემა, რომ სააკაშვილი ბუაა და ის ჩამოვა ციხეებით. „ოცნება“ კვლავ აპირებს ამ სქემის გათამაშებას და სააკაშვილიც ამაში ხელს უწყობს.

***– გააზრებულად თუ გაუაზრებლად. სულ ისმის ეს კითხვა: რატომ ასხამს სააკაშვილი „ოცნების“ წისქვილზე წყალს?***

– სააკაშვილი ხვდება, რომ ამ ეტაპზე მისი შანსები ნაკლებია, მაგრამ ამ თამაშით იმას მაინც ახერხებს, რომ რჩება ქართულ პოლიტიკაში და მეორეც, ის მთავარ ოპოზიციურ ძალად რჩება. მას აწყობს ეს განლაგება, თუ პირველი ვერ იქნება, მეორე მაინც უნდა იყოს. მოკლედ, ორივეს აწყობს ეს თამაში. ხელი ხელს ბანს. პირველი მე ვიქნებიო, მეორე – შენო და მერე იმედი აქვს, რომ ოდესმე ისევ პირველი გახდება. თამაშობენ ამომრჩევლის ნერვებზე.

# „მარგველაშვილი მაღალი კლასის პოლიტიკოსია და შესაბამისად იქცევა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის პარლამენტში ყოველწლიურ მოხსენებასა და შემდეგ განვითარებულ მოვლენებს აფასებს.

***– ბატონო სოსო, პარლამენტში განვითარებული მოვლენების შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობამ პრეზიდენტს ტელედებატებში მონაწილეობა შესთავაზა. თქვენ როგორ შეაფასებთ განვითარებულ მოვლენებს?***



– მე არ გახლავართ სამართალმცოდნე, რეგლამენტის სპეციალისტი, ამიტომ ვენდობი ყოფილი სპიკერის დავით უსუფაშვილის შეფასებას, ყველა დამნაშავეა. რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, აქ, რასაკვირველია, ცხადზე ცხადი იყო, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილისთვის „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში განკითხვის დღე რომ უნდა მოეწყო და მართლაც ასე განვითარდა მოვლენები, მით უფრო, როდესაც ივანიშვილი პოლიტიკაში ბრუნდება, ყველა ცდილობს, რომის პაპზე უფრო დიდი კათოლიკე იყოს, მით უფრო – ივანიშვილის თვალში.

მარგველაშვილი რასაც ლაპარაკობდა და რა პრეტენზიებსაც უყენებდა ხელისუფლებას, არცერთმა ამას პასუხი არ გასცა. როგორი შთაბეჭდილება რჩება, იცით? ყველას თავისი სიმართლე აქვს. თუმცა, რა იყო უმრავლესობის მთავარი პრეტენზია მარგველაშვილთან?! ორი პრეტენზია გამოიკვეთა: ერთი – შეწყალება, რაც პრეზიდენტის დისკრეციაა, ექსკლუზიური უფლებაა და მეორე, რატომ შევიდა ავლაბრის რეზიდენციაში. თუ პრეზიდენტის მიმართ სხვა პრეტენზია არ არსებობს, გარდა შეწყალებისა და ავლაბრის რეზიდენციაში შესვლისა, არცერთ შემთხვევაში გიორგი მარგველაშვილს კონსტიტუცია არ დაურღვევია. ერთის უფლებაც ჰქონდა კანონით და მეორისაც. ამიტომ, რასაკვირველია, მარგველაშვილი უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა.

***– თუმცა მან გამონაკლისის დაშვება მოითხოვა იმ კონკრეტულ შემთხვევაში.***

– გასაგებია, მაგრამ, როდესაც ერთ ადამიანს 120 კაცი დაესევა, რაც არ უნდა მართალი იყოს ეს 120 კაცი, მაინც უარყოფით, ნეგატიურ შთაბეჭდილებას ტოვებს. მთავარი მაინც ის არის, რომ ეს დებატები არაფერს ცვლის. ეს სანახაობა რომც არ გამართულიყო და ყველაფერს რეგლამენტის, პოლიტიკური კულტურის მაღალ დონეზე ჩაევლო, ეს მაინც არაფერს შეცვლიდა ხალხის ცხოვრებაში. ამაშია მთელი უბედურება. ეს იყო ერთი გასართობი დღე, რაც კიდევ უფრო ნიჰილისტურ განწყობაში გადააგდებდა ჩვენს ხალხს. უბედურება არის ის, რომ რაც დიდ პოლიტიკაში ხდება, ამ ქვეყნის ერთ, რიგით მოქალაქეს აბსოლუტურად არ ეხება. როგორც არ უნდა წარმართულიყო ეს დებატები რა, ფასები ცოტათი მაინც დაიწევდა თუ ერთი უმუშევარი მაინც იპოვიდა სამუშაოს?! აბსოლუტურად არაფერი იცვლება.

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, თითქოს პოლიტიკა ცალკე, სხვაგან არის, ხალხი თავისი პრობლემებით კი – სხვაგან. ამას ვერ აცნობიერებენ პოლიტიკოსები, ვერცერთი ხელისუფალი. ეს არის მთავარი პრობლემა. ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ რომელიმე მოქალაქეს მაინც აქვს განცდა, რომ პრეზიდენტი იქნება, პრემიერი თუ ვინც არ უნდა იყოს, მასზე, მის უკეთეს მომავალზე ზრუნავს. სანამ ამის განცდას ვერ გააჩენს ხელისუფლება, მანამდე ასეთი უიმედო განწყობა გვექნება, რაც ძალიან ცუდია ქვეყნის მომავლისთვის, მისი განვითარებისთვის.

***– თქვენ რა დაინახეთ, პრეზიდენტი აპირებს მეორე ვადით კენჭისყრას თუ ის პოლიტიკიდან მიდის?***

– გიორგი მარგველაშვილს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ აქვს მიღებული. მე მაინც მგონია, რომ ის ივანიშვილის გადაწყვეტილებას ელოდება.

***– რა გადაწყვეტილებას?***

– რომ იყრის თუ არა კენჭს, რას აპირებს სამომავლოდ ივანიშვილი. მე ვფიქრობ, რომ ივანიშვილი როდესაც ღიად გახსნის კარტებს, მერე მიიღებს მარგველაშვილი გადაწყვეტილებას. ისე, მას აქვს დრო, ჯერ კიდევ დაელოდება მოვლენების განვითარებას და შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას. მე მაინც ვფიქრობ, რომ ივანიშვილიდან გამომდინარე მიიღებს ის გადაწყვეტილებას. პოლიტიკური ტაქტიკის თვალსაზრისით მარგველაშვილი სწორად იქცევა. ის იცდის, აკვირდება.

***– ისე, არცერთხელ არ გაუკრიტიკებია მას ივანიშვილი. რატომ, როგორ ფიქრობთ?***

– ის კონკრეტულ პერსონებს თავს არასდროს ესხმის. ის არ არის ამ დონის პოლიტიკური მოთამაშე. გიორგი მარგველაშვილი მაღალი კლასის პოლიტიკოსია და შესაბამისად მოქმედებს.

***– თუ მეორე ვადით კენჭისყრის გადაწყვეტილება მიიღო, მაშინ მისი შანსები როგორია?***

– თუ ივანიშვილმა არ იყარა კენჭი, მისი შანსები იზრდება, მაგრამ ეს კითხვა მაინც ქალბატონ ჟვანიას უნდა დაუსვათ, რადგან ის ყველაზე კომპეტენტურია.



# შოთა მალაშხია: „წესით, მარგველაშვილმა პრეზიდენტად კენჭისყრა ველარ უნდა გაბედოს“

## „ივანიშვილს საკუთარი თავი და ქონება აქვს გადასარჩენი“

მარიამ მჭედლიშვილი

პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ **შოთა მალაშხიას**.

***– პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის დღეს განვითარებული მოვლენებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ გიორგი მარგველაშვილი, დიდი ალბათობით, აპირებს, კიდევ იყაროს კენჭი პრეზიდენტად.***

– იმის შემდეგ, რაც პარლამენტში მოხდა, მარგველაშვილმა პრეზიდენტად კენჭისყრა ვეღარ უნდა გაბედოს.

***– რატომ? მან პოლიტიკური ლიდერის თვისებები ვერ გამოამჟღავნა?***

– საამისოდ მას არცერთი თვისება არ გააჩნია. ამ ადამიანმა არ იცის, რას აკეთებს და რას ამბობს თავის ყოველწლიურ მოხსენებაში.

***– მოხსენება, ძირითადად, შეფასდა, როგორც ზერელე.***

– პრეზიდენტი მოვალეა, ილაპარაკოს ყველა უმთავრეს პრობლემასა და გამოწვევაზე და მოკლედ შეეხოს მათი გადაჭრის გზებს. კრიმინალმა რომ იმატა, ეს მაინც უნდა ეთქვა. თუ ამაში ქოცების დადანაშაულება არ უნდოდა, თავისი გადასახედიდან აეხსნა, რატომ არის გაზრდილი დამნაშავეობა. რუსულ პროპაგანდას, საგარეო ვალებს, საერთაშორისო არენაზე საქართველოს დაკნინებას, ხალხის უმძიმეს სოციალურ მდგომარეობას უნდა შეჰხებოდა. აღარაფერს ვამბობ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. გიორგი მარგველაშვილს ისეთი მოხსენება ჰქონდა, თითქოს არ აინტერესებს, რა ხდება ქვეყანაში. პრეზიდენტი კი არა, პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად ჩართული ნებისმიერი ადამიანი სხვანაირად ჩამოაყალიბებდა სათქმელს.

***– ზოგმა პრეზიდენტს პოპულიზმად ჩაუთვალა შრომითი უფლებების შელახვის საკითხის ხსენება.***



– შრომითი უფლებები ნამდვილად დასაცავია. გაუგებარია, როცა პრეზიდენტი თავის ყოველწლიურ მოხსენებაში უგულებელყოფს უპირველეს პრობლემებს და მარტო ამას ეხება.

***– მისი დემარში როგორ შეიძლება შეფასდეს?***

– ამანაც მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. პრეზიდენტი წელიწადში ერთხელ ვალდებულია, გამოვიდეს პარლამენტში. ამისათვის ფსიქოლოგიურად მაინც უნდა ყოფილიყო მზად. გიორგი მარგველაშვილს ნერვებმა უმტყუნა.

***– შევარდნაძე პარლამენტში ყოველწლიური გამოსვლებისას ასე არ იქცეოდა. ამაზე ძალიან უტევდნენ, მაგრამ წყობიდან არ გამოდიოდა.***

– შევარდნაძის მომხრეობას მეც ვერავინ დამაბრალებს, მაგრამ ვაღიარებ, რომ მის დროს საერთაშორისო დონეზე ბევრად მეტი კეთდებოდა. ახლა არაფერს აკეთებენ. ყველა საერთაშორისო რეკომენდაციას შევარდნაძეც არ ითვალისწინებდა, მაგრამ გარკვეული წინსვლა ჰქონდა.

***– თქვენი პარტია შედის იმ პოლიტიკურ ჯგუფში, რომელიც სააკაშვილსაც ხვდება და ერთად ცდილობს პრეზიდენტის კანდიდატზე შეთანხმებას.***

– შესაძლოა, კანდიდატი პრაიმერიზით ან საზოგადოებრივი ნდობის საფუძველზე შეირჩეს. ეს შეიძლება იყოს საზოგადო მოღვაწე ან პოლიტიკოსი. მთავარია, რომ ეს პირი იზიარებდეს პოსტულატს, რომ საპრეზიდენტო არჩევნები პირველი ეტაპია. ამას უნდა მოჰყვეს სხვა ეტაპები. მეორე ეტაპი უნდა გახდეს საპარლამენტო არჩევნები. არსებული პარლამენტი არ გამოხატავს საზოგადოების ნებას. ახალი გაერთიანება უნდა გახდეს „ქართული ოცნების“ ეროვნული ალტერნატივა.

***– „ქართული ოცნება“ იმედს ისევ ბიძინა ივანიშვილზე ამყარებს, რომელმაც პარტიის თავმჯდომარეობა იტვირთა.***

– ივანიშვილს საკუთარი თავი და ქონება აქვს გადასარჩენი,სჭირდება თავის დაცვა და ის ამას ცდილობს. აშშ-მ „კრემლის სიაში“ პუტინის გარემოცვა შეიყვანა. ამ ხალხს სანქციები უწესდება. ზოგი უკვე მოექცა სანქციების ქვეშ. ივანიშვილი ამ სიის ქვედა დონეა. მას ფიზიკურად განადგურების საფრთხე უდგას. პუტინმა შეიძლება მოწმეები და დავალებების შემსრულებლები თავიდან მოიშოროს. ცნობილია, როგორ მეთოდებს იყენებს კგბ-ს მაიორი პუტინი – პოლონიუმით მოწამვლა, ქიმიური თავდასხმა და სხვა. პუტინს საკუთარი მილიარდერებიც აუჯანყდებიან. ისინი მის გამო ზარალდებიან. მათი ქონების დიდი ნაწილი დასავლეთშია განთავსებული. ჩრდილოეთ კორეის ლიდერს არ უჭირს თავისი ხალხის მართვა. ეს ხალხი მასავით აზროვნებს. სხვა საქმეა პუტინი, რომელიც მილიარდერივით ცხოვრობს და სტალინივით უნდა ქვეყნის მართვა. პუტინს რუსეთში აუცილებლად აერევა ვითარება და გაზპრომის მეწილე ივანიშვილი შევიწროვდება. მალე უფრო დეტალურად გამოაშკარავდება, როგორ ერეოდა რუსეთი სხვა ქვეყნების არჩევნებში. საქართველო საამისოდ კარგი მასალაა.

***– მკვიდრდება აზრი, რომ ივანიშვილი მოვიდა პარტიის გადასარჩენად.***

– „ქართულ ოცნებას“ ის ჩრდილში მყოფიც აკონტროლებდა. ყველა მისი ყურმოჭრილი მონაა. ეგ კი არა, მთელი სტრუქტურები მისი მომსახურების ბიუროდ იქცა. ყველა დაკავებულია ივანიშვილის მიერ შერჩეული ხეების გადატანა-გადმოტანითა და ნებართვების გაცემით მისთვის სასურველ მშენებლობებზე.

***– პარტიაში სხვა პროცესებიც ვითარდება.***

– „ქართულ ოცნებაში“ ხედავენ, რა მოსდის პუტინს, როგორ ექცევა იზოლაციაში რუსეთი. შეიძლება პარტიაში წავიდეს ახალი პროცესები, დაფაცურდნენ ლიდერობის მოსურნეები. ივანიშვილმა ასევე ამის აღკვეთა განიზრახა. მას სომხეთში მომხდარი ამბებიც აშინებს.

***– სომხეთში მოვლენები გრძელდება.***

– კიდევ ბევრი რამ მოხდება, მაგრამ მთავარი უკვე განხორციელდა. სომხეთის მოსახლეობამ დაადასტურა, რომ ძველებურად ცხოვრება არ სურს. საზოგადოებას არ მოსწონს ის სომხეთი, რომელიც რუსეთის ქვეშევრდომია. ჩვენ ყოველთვის მოწინავეები ვიყავით კავკასიაში დემოკრატიის, აქტიურობის, პოლიტიკაში ჩართულობის თვალსაზრისით. საქართველოში ხალხი დიდი ხანია აღრენილი და განრისხებულია. მმართველი პარტიის მიმართ აგრესია არ იმალება. ივანიშვილის ქონება ამ მხრივაც საფრთხეშია. არავინ იცის, როდის იხუვლებს ხალხი და როდის გამოვა ქუჩაში.

# „ედლაინი“: „ჩვენმა კომპანიამ ტენდერი კონკურენტულ გარემოში მოიგო“

## „ნიკა მელიას საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს“

რამდენიმე დღის წინ ნაციონალების ლიდერმა ნიკა მელიამ ტვ „პირველის“ ეთერში მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ნეპოტისტური, კორუფციული ტენდერის ჩატარებაში დაადანაშაულა.

საუბარია ტენდერზე, რომელიც გამოცხადდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საწყისი ფასით 887.000 ლარი და ითვალისწინებს ფაროსანას საწინააღმდეგო საშუალებებისა და მათი მოხმარების შესახებ საინფორმაციო მასალების შექმნასა და გავრცელებას.

ეს ტენდერი სარეკლამო კომპანია „ედლაინმა“ მოიგო.

ნიკა მელიას განცხადებით, ქუმსიშვილმა სასათბურე პირობებში ჩააყენა ახლობლის ფირმა, სადაც თვითონაც მეწილეა.

– დასავლეთ საქართველოში ტრაგედია ტრიალებს. ქუმსიშვილი კი ფულს შოულობს და ამ სიტუაციაში ერთ მილიონ ლარამდე საკუთარი ოჯახის ახლობელს გაატანა სახლში. ნებისმიერ წესიერ ქვეყანაში თავმოყვარე მინისტრი გადადგებოდა თანამდებობიდან.

„ევროპული საქართველოს“ ლიდერ გიგი უგულავას მიაჩნია, რომ ტენდერი ნეპოტისტურია.

– ოქროს დრო არის გაშვებული შემოდგომიდან მოყოლებული დღემდე. მთავრობას კი არ უნდა ეკეკლუცა, პრობლემისთვის დროულად უნდა მიეხედა, – განაცხადა გიგი უგულავამ.

ოპოზიციონერებს ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი გამოეხმაურა:

– ჩემი გადმოსახედიდან, ნიკანორ მელია ერთი ჩვეულებრივი კრიმინალია, რომელსაც სადეპუტატო იმუნიტეტი იცავს და რომელზეც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მან თვალებში პროკურორს უნდა ჩახედოს და არა მე. ნაციონალური მოძრაობა და ნიკანორ მელია გულზე სკდება იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა ვითარდება – მარტში გვაქვს 5.6 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა და, შესაბამისად, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ გადაფარონ ეს პოზიტიური მოვლენა.

მინისტრის განმარტებით, მან ტელევიზიიდან შეიტყო იმ ტენდერის შესახებ, რომელზეც იყო საუბარი. მისი თქმით, ეს ტენდერი, მიღებული ინფორმაციით, ჩატარებულია სრულიად გამჭვირვალე, ელექტრონული



წესით, კონკურენტულ გარემოში და კომპანიამ დაიმსახურა გამარჯვება იმიტომ, რომ დადო დაბალი ფასი და დააკმაყოფილა ყველა მოთხოვნა, რომელიც ტენდერის პირობებში იყო გათვალისწინებული.

– აქვე აღვნიშნავ, რომ ეს კომპანია საქმიანობდა მანამდე, სანამ მე მოვედი პოლიტიკაში და აბსოლუტურად წარმატებით გააგრძელებს საქმიანობას მას მერეც, რაც მე პოლიტიკიდან წავალ, – განაცხადა პირველმა ვიცეპრემიერმა.

ნიკანორ მელიას განცხადებას სარეკლამო კომპანია „ედლაინიც“ გამოეხმაურა.

„ნიკანორ მელიამ „ტვ პირველის“ ეთერში გააკეთა განცხადება: „გამოაცხადეს რაღაცა, მილიონ ლარამდე ტენდერი... და ვინ მოიგო ეს ტენდერი, რომელიც უკონკურენციო იყო, ანუ არ ჰყავდა კონკურენტი, დახურული ტენდერი?.. ქუმსიშვილის ოჯახის წევრმა, ქუმსიშვილის მეუღლის ბიძაშვილმა“.

ნიკანორ მელია ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება.

ტენდერში გამარჯვებული სარეკლამო კომპანია „ედლაინი“ განმარტავს, რომ ტენდერი გამოცხადდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საწყისი ფასით 887.000 ლარი და ითვალისწინებს ფაროსანას საწინააღმდეგო საშუალებებისა და მათი მოხმარების შესახებ საინფორმაციო მასალების (მ.შ. ფილმების, სხვადასხვა რგოლების, ელექტრონული ბანერების, სტატიების და სხვ.) შექმნასა და გავრცელებას პრაქტიკულად ყველა მედიის, ტელევიზიების („ტვ პირველი“, „რუსთავი 2“, „იმედი“, „პალიტრანიუსი“...), პრესის, ინტერნეტმედიის, სოციალური ქსელებისა და სხვ. საშუალებით.

ელექტრონული ტენდერი მოიგო ჩვენმა კომპანიამ 709.601 ლარად, ანუ საწყის ფასზე 177.399 ლარით იაფად. ტენდერი არ ყოფილა უკონკურენტო, ეს იყო ელექტრონული ტენდერი, სადაც „ედლაინმა“ დააფიქსირა ყველაზე დაბალი ფასი და, შესაბამისად, გახდა ტენდერის გამარჯვებული.

სარეკლამო კომპანია „ედლაინი“ შედის „პალიტრამედიის“ შემადგენლობაში, შესაბამისად, მას გააჩნია, როგორც ვიდეო, აუდიო, ბეჭდური თუ ვებმასალების წარმოების საკუთარი საშუალებები და მრავალრიცხოვანი პროფესიონალი კადრები, ასევე ინფორმაციის განთავსების სხვადასხვა მედიაპლატფორმები, რომლებიც ასევე შედიან „პალიტრამედიის“ შემადგენლობაში. „ედლაინი“ თანამშრომლობს სხვა ქართულ მედიასაშუალებებთანაც, როგორც დამკვეთი ორგანიზაცია.

რაც შეეხება დიმიტრი ქუმსიშვილთან ნათესაურ კავშირს, შპს „ედლაინის“, ისევე, როგორც „პალიტრამედიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ირაკლი თევდორაშვილი, ნამდვილად არის დიმიტრი ქუმსიშვილის ცოლის ბიძაშვილი.

### „ეს იყო ელექტრონული ტენდერი, სადაც „ედლაინმა“ ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა“

ინფორმაციისთვის: „პალიტრამედია“ დაფუძნებულია 23 წლის წინ და აერთიანებს 20-მდე კომპანიას მედიისა და მომიჯნავე სფეროებში.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ, რადგან დამფუძნებელი მინისტრის ნათესავია, ჩვენმა მრავალწლიანი გამოცდილების მქონე კომპანიამ არ უნდა მიიღოს ტენდერსა თუ კონკურსში მონაწილეობა და არ შეასრულოს მომსახურება, რომელსაც დიდი მონდომებით, წარმატებით ასრულებს და ავითარებს, – ნათქვამია განცხადებაში.

* * *

გუშინ, 3 მაისს, აღნიშნულ ტენდერთან დაკავშირებით განცხადება სურსათის ეროვნული სააგენტომ „ფეისბუქის“ გვერდზე გაავრცელა.

„აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სტრატეგიის ფარგლებში, საინფორმაციო კამპანიის მასშტაბურობიდან გამომდინარე, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი, რომელიც კონკურენტუნარიანობის პრინციპის, კანონმდებლობის წესებისა და ვადების სრული დაცვით ჩატარდა და გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია.



აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა აქტიური საინფორმაციო კამპანია და მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა. ამ მიზნით სურსათის ეროვნული სააგენტო წლის დასაწყისიდან ახორციელებს ღონისძიებებს.

ამჟამად მავნებელთან ბრძოლის პროცესი აქტიურ ფაზაში გადადის და გაგრძელდება წლის ბოლომდე. ამ პერიოდში განხორციელდება წამლობითი სამუშაოები, გაგრძელდება მონიტორინგი, დამონტაჟდება „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგურები.

მავნებელთან ბრძოლის სტრატეგიის შესაბამისად, სწორედ ამ ეტაპზეა მოსახლეობის ჩართულობა მნიშვნელოვანი, რაც საჭიროებს ინფორმაციის მაქსიმალურად მიწოდებას, რაც უზრუნველყოფს ფაროსანას პოპულაციის შემცირებას და შედეგად სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვასა და ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილებას.

საინფორმაციო კამპანიის მასშტაბურობიდან გამომდინარე, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი, რომელიც კონკურენტუნარიანობის პრინციპის, კანონმდებლობის წესებისა და ვადების სრული დაცვით ჩატარდა და გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია.

ელექტრონული ტენდერის პირობებიდან გამომდინარე, გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე ინფორმაცია სხვა მონაწილეებთან დაკავშირებით ხელმისაწვდომი არ არის. ხელშეკრულების გაფორმებისთანავე აღნიშნული ინფორმაცია გასაჯაროვდება.

საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მომზადდა საინფორმაციო ბროშურა „ერთად ვებრძოლოთ აზიურ ფაროსანას“, რომელიც გავრცელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, ამოქმედდა საკოორდინაციო შტაბები დასავლეთ საქართველოსა და აჭარაში, სადაც თავს იყრის ელექტრონულ ბაზაში მონაცემები მონიტორინგის შედეგების შესახებ და იგეგმება მუნიციპალიტეტების მიხედვით წამლობის ღონისძიებები.

ყოველდღიურ რეჟიმში ვრცელდება ინფორმაცია მიმდინარე აქტივობების შესახებ. ამოქმედდა სპეციალური ვებგვერდი. სამეგრელოს, გურიის, იმერეთის რეგიონებში და ასევე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი. ინტენსიურ რეჟიმში იმართება მოსახლეობასთან შეხვედრები და სწავლებები სპეციალისტებისთვის“ – ნათქვამია განცხადებაში.

* * *

„ახალი თაობა“ ჰოლდინგ „პალიტრამედიის“ იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელ ანა სამსონიას დაუკავშირდა.

– ტენდერი არის ელექტრონული, ნებისმიერ მსურველს შეეძლო მონაწილეობის მიღება. სიცრუეა, რომ თითქოს ტენდერი უკონკურენტო გარემოში ტარდება. 4 მაისს გახდება ცნობილი, თუ რომელი ფირმები მონაწილეობდნენ ტენდერში, – გვითხრა ანა სამსონიამ.

***– რატომ გახდა ცნობილი, რომ მონაწილეობას იღებდა „ედლაინი“?***

– ესეც ტენდერის ფორმატიდან გამომდინარეა, გასაჯაროვდა იმ ფირმის ვინაობა, რომელმაც ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. ასეთი აღმოჩნდა „ედლაინი“. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გადახედოს პორტალს და რეალობაში დარწმუნდება.

# დავით ლილუაშვილი: „პრეზიდენტს ნერვებმა უმტყუნა“

გულიკო ბალაძე

უფლებადამცველი **დავით ლილუაშვილი** „ახალ თაობასთან“ აფასებს მეოთხე პრეზიდენტის მეოთხე გამოსვლას საქართველოს პარლამენტის სხდომაზე და იმ პროცესს, რომელიც განვითარდა პარლამენტში მარგველაშვილის სტუმრობისას. დავით ლილუაშვილი აცხადებს, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილს ნერვებმა უმტყუნა.

***– მეოთხე პრეზიდენტი ამთავრებს თავის ვადას და ბოლო გამოსვლა ჰქონდა პარლამენტში. როგორც უფლებადამცველმა და როგორც მოქალაქემ, როგორ მოუსმინეთ, როგორ გაიგეთ მისი მესიჯები, როგორ აფასებთ მის გამოსვლასა და პრეზიდენტობას?***

– პრეზიდენტისაგან ადამიანის უფლებრივ საკითხებზე არ მომისმენია არცერთი მესიჯი.

***– ადამიანის უფლებების მდგომარეობა 2012 წელს შეადარა და თქვა, წინსვლა გვაქვს, მაგრამ გარკვეული ნაკლოვანებებიც არისო.***

– ეს იყო ზოგადი განცხადება. არ შეეხო არცერთ უფლებრივ საკითხს. სამწუხარო ფაქტი მოხდა – პრეზიდენტს ნერვებმა უმტყუნა.

***– ასე ფიქრობთ, რომ პრეზიდენტს ნერვებმა უმტყუნა?***

– სხვაგვარად როგორ უნდა შეფასდეს მისი ქცევა და პარლამენტის დატოვება. მან კარგად იცოდა პარლამენტის რეგლამენტი, კარგად იცოდა, რა ფორმატში მოუწევდა სიტყვით გამოსვლა და შემდეგ შემაჯამებელი სიტყვის თქმა. პარლამენტში ის მეხუთედ გამოდის.

***– სხვათა შორის, მარგველაშვილმა ერთი რამ ნამდვილად სწორი თქვა. სამართალდამცავ სტრუქტურებში ჯერ კიდევ მუშაობენ ის ადამიანები, რომლებსაც წინა ხელისუფლების დროს დანაშაულიც კი აქვთ ჩადენილი თავიანთი საქმიანობით.***

– ამაზე უფლებადამცველები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც საუბრობენ. მან კონკრეტულად არცერთი პირი არ დაასახელა იმ კატეგორიაში, რომლებიც ემსახურებოდნენ წინა რეჟიმს, ჩადიოდნენ დანაშაულებრივ ქმედებებს და ა.შ. პრეზიდენტს ძალიან ზოგადი, ძალიან ტრაფარეტული გამოსვლა ჰქონდა, სულ რაღაც 23-წუთიანი. მას შეეძლო, გამოეყენებინა თავისი დრო და უფრო ყოვლისმომცველად ესაუბრა ყველა საკითხზე, მაგრამ დრო არ გამოიყენა.

***– შეიძლება ვიფიქროთ, რომ რადგან ის ამთავრებდა თავის ვადას, შეეცადა, ვითარება არ გაემწვავებინა, მაგრამ შემდეგ რომ დაინახა, პოზიციაც და ოპოზიციაც მას აკრიტიკებდა, იფიქრა, რომ დროდადრო ჩაერთვებოდა.***

– მარგველაშვილის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება მეხუთე წელია არის. ასეთი დამოკიდებულება მისთვის ახალი არ იყო, მაგრამ ნერვებმა უმტყუნა და ძალიან ცუდი ფაქტი ვიხილეთ როგორც ადგილობრივმა, ისე საერთაშორისო საზოგადოებამ, რადგან ეს ინფორმაცია, არსებული ვიდეოკადრები გადაიგზავნებოდა უცხოეთში და ჩვენი პარტნიორები ნახავენ.

***– ცუდი მაინც რა იყო?***

– ცუდად გამოჩნდა ის, რომ პრეზიდენტი პარლამენტს ულტიმატუმს უყენებდა და პარლამენტარებისაგან მოითხოვდა რეგლამენტის, კანონისა და წესების დარღვევას.

***– მართლაც არ იყო კარგი, პრეზიდენტმა პარლამენტის სხდომა რომ დატოვა და წავიდა, მაგრამ თავის რბილ გამოსვლაში მან მწვავე საკითხები მცირე დოზით გააჟღერა. მაგალითად, მან თქვა, რომ მოსამართლეების უვადოდ დანიშვნებმა დიდი ხნით გადაავადა სასამართლო სისტემის გაჯანსაღება. ფაქტია, რომ უვადოდ დაინიშნნენ მოსამართლეები, რომელთა მიმართ საზოგადოებასაც და სტრასბურის სასამართლოსაც კი ჰქონდა პრეტენზია.***

– მის გამოსვლაში ასეთი ნოტები იყო, რაც რეალობაა. დღემდე, სამწუხაროდ, ქვეყანაში მურუსიძის სასამართლო გვაქვს. ის ძველი კადრები, რომლებიც პირნათლად ემსახურებოდნენ სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს, დღესაც არიან სასამართლო სისტემაში, რაც არასამთავრობო სექტორისთვის, უფლებადამცველებისთვის კატეგორიულად მიუღებელია, რაზეც ხელისუფლებას კრიტიკას არც ჩვენ ვაკლებთ. ამ შემთხვევაში პრეზიდენტმა სწორი და ადეკვატური შეფასება გააკეთა.

ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოს პროკურატურაშიც არ არის სახარბიელო მდგომარეობა – ისევ რჩებიან ის პროკურორები, რომლებიც პირნათლად ემსახურებოდნენ სააკაშვილს. ეს იწვევს უფლებადამცველების უკმაყოფილებას, ვაკრიტიკებთ ხელისუფლების არასწორ საკადრო პოლიტიკას. ამ ხელისუფლებამ სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლები პროკურატურის სისტემაში დატოვა, მაგრამ ეს მწარე რეალობაა.



***– შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მარგველაშვილი ცდილობდა, 2012 წლის შემდეგ მოსული ხელისუფლების მუშაობის დადებითი მომენტებიც წარმოეჩინა. თქვენ ასეთი დამოკიდებულება ვერ დაინახეთ?***

– დიახ, მაგრამ ის ამით თავისი როლის დემონსტრირებას ცდილობდა – როცა მე განათლების მინისტრი ვიყავი, მაშინ განათლების სისტემაში დაიწყო რეფორმები და მას შემდეგ არც არაფერი გაკეთებულაო.

***– მარგველაშვილის პრეზიდენტობის უარყოფით მხარედ რას მიიჩნევთ? იმას ხომ არა, რომ ის მუდმივად დაპირისპირებული იყო აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან?***

– პოლიტიკოსთვის კრიტიკა, გარკვეული წინააღმდეგობრივი მომენტები უცხო ხილი არ არის. ყველაზე უარყოფითად დავახასიათებდი იმ შეწყალების აქტებს, რომლებიც პრეზიდენტმა გამოსცა, რასაც ხმაური მოჰყვა და განხილვის საგანი გახდა. მან გაათავისუფლა უმძიმეს დანაშაულში მსჯავრდებული პირები, რომლებმაც განმეორებით ჩაიდინეს მძიმე თუ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულები.

რით შეიძლებოდა ყოფილიყო ეს განპირობებული, რატომ ახორციელებდა პრეზიდენტი შეწყალების ასეთ პოლიტიკას? პარლამენტის თავმჯდომარემ თეორიულად კორუფციაც კი არ გამორიცხა. ხომ არ არის გასათვალისწინებელი ის ფაქტი, რომ 2012 წელს ხელისუფლებას დახვდა პატიმრები, რომლებიც იყვნენ არასამართლებრივი სასამართლოსა და ხელისუფლების სასტიკი რეჟიმის მსხვერპლნი. ამან განაპირობა ის, რომ ვთქვათ, პრეზიდენტმა მოწყალების თვალით შეხედა ამ პატიმრებს.

***– სააკაშვილის რეჟიმის დროს იყვნენ უკანონო პატიმრებიც, სინდისის პატიმრებიც და იმ კატეგორიის პატიმრებიც, რომელთა მიმართაც გამოიყენეს არასამართლებრივი რეგულაციები. ასეთი კატეგორიის პატიმრები გამოვიდნენ ამნისტიითა და პოლიტპატიმრის სტატუსით.***

პრეზიდენტის შეწყალებები მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებს შეეხო. კორუფცია კი მხოლოდ ფინანსურ დაინტერესებას არ გულისხმობს. არადანიშნულებისამებრ უფლებამოსილების გამოყენებაც კორუფციად არის სახელდებული. ასეთია ამ ტერმინის განმარტება. მართლაც, პრეზიდენტი მარგველაშვილი არადანიშნულებისამებრ და არასწორად იყენებდა თავის დისკრეციულ უფლებას, შეეწყალებინა მსჯავრდებულები. ალბათ, პარლამენტის თავმჯდომარემ კორუფციაში ეს იგულისხმა.

***– სასურველია, რომ მეოთხე პრეზიდენტმა ნორმალურად დაამთავროს თავისი უფლებამოსილების ვადა.***

– მალე დამთავრდება მისი უფლებამოსილება. არ ვიცი, ისტორიაში როგორ შევა. ალბათ, არცთუ კარგად, მაგრამ, რაც არის, ეს არის. საერთოდ, კარგი იქნებოდა, თავის დროზე ასეთი პიროვნება პრეზიდენტად არ არჩეულიყო.. მარგველაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად რომ დასახელდა, ქართველ საზოგადოებას, პოლიტიკურ სპექტრს პრეტენზია მაშინაც ჰქონდათ, აცხადებდნენ, რომ მარგველაშვილი არ იყო პრეზიდენტის შესაფერისი კანდიდატურა.

***– მაშინ, მგონი, ისეთი არაფერი იყო მარგველაშვილის წინააღმდეგ.***

– მარგველაშვილი არ არის პროფესიონალი პოლიტიკოსი. მას არ აქვს ისეთი ბეგრაუნდი, რაც ამ შემთხვევაში მისაღები იქნებოდა. გუშინდელი მისი ქცევა ამის მაჩვენებელია. გაწონასწორებული და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსები ისე არ იქცევიან, როგორც მარგველაშვილი მოიქცა.

## არჩილ თალაკვაძე: „პრეზიდენტი პასუხის გაცემას თავს არიდებს“



– პრეზიდენტი თავს არიდებს პასუხის გაცემას და გიორგი აბაშიშვილის პირით ესაუბრება ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ ჟურნალისტებს უმრავლესობის მიერ შეთავაზებულ სატელევიზიო დებატებზე პრეზიდენტის უარის შეფასებისას განუცხადა.

თალაკვაძის შეფასებით, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პრეზიდენტის 2 მაისის ქმედება იყო წინასწარ დაგეგმილი დემარში.

– 2 მაისს პრეზიდენტმა თავი აარიდა საკუთარი ანგარიშის განხილვის პროცესს და დატოვა საკუთარი ანგარიშის განხილვის პროცესი. დღეს მან თავი აარიდა საჯარო დებატებს, რომელიც პირველ რიგში, საზოგადოების ინტერესში იყო, რომ საზოგადოებას მიეღო ინფორმაცია მისი ანგარიშის შესახებ და მას გაეცა პასუხები იმ კითხვებზე, რომლებზეც 2 მაისს ითხოვდა ფორმატის შეცვლას. ეს არის ძალიან გაუგებარი, პირველ რიგში და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პრეზიდენტის ნაბიჯი წინასწარ დაგეგმილი დემარში იყო.

ჩვენ მზად ვიყავით დებატებისთვის 2 მაისს, ჩვენ შევთავაზეთ დღეს სატელევიზიო დებატები და მზად ვართ დებატებისთვის დღესაც, თუმცა, სამწუხაროა, რომ პრეზიდენტი თავს არიდებს პასუხის გაცემას და გიორგი აბაშიშვილის პირით ესაუბრება ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს – 150 დეპუტატს, რომელიც პარლამენტში სწორედ ხალხის პირდაპირი არჩევნებით არის წარმოდგენილი. ძალიან სამწუხაროა, რომ პრეზიდენტი ასეთ სტანდარტს გვიჩვენებს და პირდაპირ ეწინააღმდეგება იმას, რასაც გუშინ ითხოვდა. მან გუშინ მოითხოვა კითხვებზე პასუხების გაცემის შესაძლებლობა. დღეს, როდესაც შევთავაზეთ ეს შესაძლებლობა, უარს აცხადებს პირდაპირ სატელევიზიო დებატზე, სადაც საზოგადოებას შეეძლო, თავად დაენახა, თუ რამდენად ჰქონდა მას პასუხები კითხვებზე, რამდენად შეუძლია უპასუხოს იმ კრიტიკულ განწყობებს, რომელიც პარლამენტში იყო წარმოდგენილი არა მხოლოდ უმრავლესობის, არამედ ოპოზიციის მხრიდანაც, – განაცხადა უმრავლესობის ლიდერმა.

**ინტერპრესნიუსი**

## გიორგი აბაშიშვილი: „უმრავლესობის შეთავაზება სატელევიზიო დებატებთან უღირსი და არასერიოზულია“

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიორგი აბაშიშვილმა საპარლამენტო უმრავლესობის შეთავაზებას პრეზიდენტთან სატელევიზიო დებატებთან დაკავშირებით უღირსი და არასერიოზული უწოდა.

– კონსტიტუციით განსაზღვრული ფუნქციის უზრუნველყოფის ნაცვლად, რომელიც საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ დებატების წარმართვას გულისხმობდა, უმრავლესობის მხრიდან მივიღეთ ყოვლად უღირსი და არასერიოზული შეთავაზება.




2 მაისს, პრეზიდენტი მზად იყო კონსტიტუციით განსაზღვრული ფუნქცია შეესრულებინა, გაეკეთებინა მოხსენება, რაც მან გააკეთა კიდეც და შემდგომ, შესულიყო დებატებში ყველა ტელევიზიის თვალწინ, პირდაპირ ეთერში. სამწუხაროდ, უმრავლესობამ მას ამის საშუალება არ მისცა. უმრავლესობა გაექცა ამ დებატებს.

გასაგებია, უმრავლესობისთვის ერთპარტიული პერფორმანსი ყველაზე უფრო კომფორტულია და ისინი დარჩნენ ამ კომფორტის ზონაში. სამწუხაროა, რომ ქვეყანა ამ გზით მიჰყავთ, – აღნიშნა გიორგი აბაშიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## ზაქარია ქუცნაშვილი: „ბატონი ბიძინა მოფერებით შაქარიას მეძახის“



– ბატონი ბიძინა მოფერებით შაქარიას მეძახის.

ამის შესახებ პარლამენტის მაჟორიტარმა წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში განაცხადა. გადაცემა „ბარიერში“ მან ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზე ისაუბრა.

– მე გამიხარდა ბატონი ბიძინას დაბრუნება. მას პატივს ვცემ. მიმაჩნია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მისი როლი ავტოკრატიული რეჟიმის დამარცხებაში არის ძალიან მაღალი.

მგონია, რომ ბატონი ბიძინა მე-20 საუკუნის ყველაზე დიდი ქველმოქმედია. ვნახოთ 21-ე საუკუნე შობს კიდევ თუ არა მასზე დიდ ქველმოქმედს. თუმცა, არ დაგიმალავთ, რომ მე მასთან მაქვს მეგობრული, პარტნიორული ურთიერთობა და არა ვასალისა და ბატონის დამოკიდებულება.

მე ხშირად გამიკრიტიკებია ბატონი ბიძინა, ისევე, როგორც მასაც გავუკრიტიკებივარ ხშირად. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს ეს მეგობრობაზე დაფუძნებული ურთიერთობა, რომელიც ეფუძნება სიმართლის თქმას პირში, და არა იმას, რომ მოდი ვთქვა ის, რაც მას ესიამოვნება. შაქარიას მეძახის მოფერებით. აქედან გამომდინარე, მეგობრული ურთიერთობა და ის განვლილი გზა მაძლევს უფლებას და მე ვფიქრობ ვალდებულიც ვარ, იმიტომ რომ მაქვს ასეთი პრინციპი, რომ პარლამენტის წევრის უფროსი არ არსებობს, გარდა რამოდენიმე რამისა: ეს არის სინდისი, ხალხი, კანონი და, თუ მორწმუნე ხარ, ღმერთი. აი, ეს არის პარლამენტის წევრის უფროსი, – განაცხადა ქუცნაშვილმა.

ზაქარია ქუცნაშვილი საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტში თიანეთის, ყაზბეგისა და დუშეთის 38 გაერთიანებული ოლქიდან არის არჩეული. არის ფრაქცია „ქართული ოცნებისა“ და 2 კომიტეტის წევრი.

# რომან კაკულია: „ეროვნული ბანკის რეგულაციები კარგი ცხოვრებით არ არის ნაკარნახევი, მაგრამ აუცილებელია“



– ჭარბვალიანობის თემა, რომელიც, როგორც წესი, მთლიან შიდა პროდუქტთან შინამეურნეობების დაკრედიტების პროცენტით განისაზღვრება, არ არის ამ მომენტისთვის საგანგაშო, – ასე შეაფასა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარე რომან კაკულიამ ეროვნული ბანკის რეგულაციები გადამხდელუნარიანობის დადასტურების გარეშე სესხის გაცემის შეზღუდვასთან დაკავშირებით.

კაკულიას თქმით, ეროვნულმა ბანკმა, საგანგაშოდ მიიჩნია შინამეურნეობების დავალიანების ზრდის მზარდი ტემპები. ასევე იზრდება იმ ადამიანების მიმართ დაკრედიტების ტემპი, რომელთა შემოსავლებიც არ არის ადეკვატური მათ მიერ აღებულ სესხებთან. ამიტომ ეროვნულმა ბანკმა საკმაოდ სამართლიანად მიიჩნია მაღალი ხარისხის რისკიც და რეგულაციაც, რომელიც გადამხდელუნარიანობის დადასტურების გარეშე სესხის გაცემის შეზღუდვას ეხება. აქედან გამომდინარე, პარლამენტარის აზრით, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება აუცილებელი და მისასალმებელია.

– აუცილებელია ითქვას, რომ ეს არ არის გადაწყვეტილება, რომელიც კარგი ცხოვრებითაა ნაკარნახევი და აქ არ დადგება ის შედეგი, როდესაც ვინმეს არ ექნება საფუძველი რაღაც ნეგატიურ მოვლენებზე არ ისაუბროს. ეს გარდაუვალი პროცესია. ჩვენ მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ ნეგატიური ეფექტი იმისათვის, რომ მივიღოთ მთავარი შედეგი – შემცირდეს იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც რჩებოდნენ უსახლკაროდ, ძალიან მძიმე პირობებში. გადამხდელუნარიანობის დადასტურების გარეშე სესხის გაცემის შეზღუდვა ქვეყანაში ჭარბვალიანობის პრობლემას მოაგვარებს, – აცხადებს რომან კაკულია.

– რა თქმა უნდა, იქნება ადამიანების კატეგორია, რომლებიც ვერ მიიღებენ სესხებს, მაგრამ ჯობია ადამიანმა ვერ მოიძიოს ეს თანხა, თუ ის განწირულია იმისათვის, რომ ამ თანხის მოძიების შემდეგ მისთვის უსახლკაროდ დარჩენა არის პერსპექტივა. რა თქმა უნდა, ეს არ არის მარტივი თემა. არის საფრთხე შავ ბაზარზე გასვლისაც, მაგრამ ჩემი აზრით, ეს არ იქნება იმ რაოდენობის და იმ მნიშვნელობის, რომელიც გადაწონის დადებით ეფექტს ამ ნაბიჯისა. გარდა ამისა, ამ რეგულაციის ამოქმედებით, გაიზრდება ხარისხი ფინანსური შეფასებისა და წინადადებებისა, რაც მნიშვნელოვანია. არ მიმაჩნია, რომ ეს რისკები იმ მასშტაბის იქნება, რომ არ დადგეს აღნიშნული რეგულაციების დადებითი ეფექტი.

მე ვფიქრობ, რომ ეროვნული ბანკის ეს გადაწყვეტილება დროულია. უფრო ადრეც შეიძლებოდა ამის გაკეთება, თუმცა ახლაც დროულია ეროვნული ბანკის რეგულაციები. ბანკებისთვის მორალის წაკითხვა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ცოტა რთული თემაა. ეროვნული ბანკი სწორედ იმიტომ არსებობს, რომ თუ ბანკების დიეტაზე გადაყვანის აუცილებლობა არსებობს, მან ეს უნდა გააკეთოს. მე იმედი მაქვს, რომ ეს საკმაოდ ნოყიერი დიეტა იქნება მათთვის.

ეს არ არის გადაწყვეტილება, რომელიც ორივე მხარისთვის 100%-იანი შედეგის მომტანი იქნება. თუმცა ამ რეგულაციით ბანკის დაცულობის ხარისხიც იზრდება.

დარწმუნებული ვარ, საბანკო სექტორი შეძლებს თავისი კომპეტენციის და ახალი რეგულაციების ფარგლებში შეძლებს, რომ მთლიანობაში სესხის პროცენტის განაკვეთის ზრდა არ იქნება მნიშვნელოვანი იმ სეგმენტში, ვისაც შეუძლია სესხის გადახდა. აქ ყველაზე ნაკლებ რისკს ვხედავ. მთავარია, რომ შემცირდეს იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც სესხებს ვერ იხდიან და უმძიმეს პირობებში რჩებიან და ჩვენ. გვექნება ჭარბვალიანობის შემცირების მნიშვნელოვანი გარანტიები, – აღნიშნავს რომან კაკულია.

**კომერსანტი**

## საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობა 1 წელწადში 17.0 პროცენტით გაიზარდა




2018 წლის მარტში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობა წინა წელთან შედარებით 17.0 პროცენტით გაიზარდა და 131.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2018 წლის პირველი კვარტლის ანგარიშშია აღნიშნული.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 24.2 პროცენტით გაიზარდა და 20.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საანგარიშო თვეში მაღალი ტემპით გაიზარდა ისრაელიდან გადმორიცხული ფულადი სახსრები (51 პროცენტით), რომლის წვლილმა მთლიანი გზავნილების ზრდაში 3.9 პროცენტული პუნქტი შეადგინა. საანგარიშო თვეში მოიმატა ევროკავშირის ქვეყნებიდან გადმორიცხულმა ფულადმა სახსრებმა (31.3 პროცენტით), რაც ძირითადად იტალიიდან (39.7 პროცენტით), საბერძნეთიდან (19.0 პროცენტით) და გერმანიიდან (36.0 პროცენტით) გაზრდილმა გზავნილებმა განაპირობა.

ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია ასევე ესპანეთიდან და საფრანგეთიდან გზავნილების მატება. უარყოფითი წვლილი ზრდაში, 0.2 პროცენტული პუნქტი, ჰქონდა რუსეთიდან ფულადი გზავნილების კლებას. რეგიონის ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების ზრდაზე ასევე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია თურქეთიდან (15.0 პროცენტით) და აზერბაიჯანიდან (31.6 პროცენტით) გზავნილების მატებამ.

თითქმის არ შეცვლილა უკრაინიდან გადმორიცხული ფულადი სახსრების მოცულობა. რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით განაწილებას, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (33 პროცენტი) და რუსეთი (29 პროცენტი) წარმოადგენს. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია ისრაელისა და იტალიის წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

**კომერსანტი**

## რა გავლენას მოახდენს აზიურ ქვეყნებზე ტრამპის სატარიფო პოლიტიკა?

გუშინ ფილიპინების დედაქალაქ მანილაში აზიის განვითარების ბანკის ყოველწლიური შეხვედრა გაიმართა. საუბრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა დონალდ ტრამპის სატარიფო პოლიტიკას შეეხო, რომლის ფარგლებშიც აშშ-მ შესაძლოა $150 მილიარდის ღირებულების ჩინურ საქონელზე საბაჟო გადასახადი დააწესოს.

შეხვედრაზე მყოფი ექსპერტებმა გამოთქვეს მოსაზრება, სატარიფო გეგმის ამოქმედების შემთხვევაში, ყველაზე მეტად აზიის რეგიონის განვითარებადი ქვეყნები დაზარალდებიან.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ ტრამპის ტარიფები ყველაზე დიდ დარტყმას სამხრეთაზიურ ქვეყნებს მოუტანს, რადგან მათ ჩინურ ექსპორტში მსხვილი კონტრიბუცია შეაქვთ.

ჩინეთთან არსებულ სავაჭრო დეფიციტზე დონალდ ტრამპი ყურადღებას ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას ამახვილებდა. მისი მოსაზრებით, ორ ქვეყანას შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობით ჩინეთი უფრო მეტ სარგებელს იღებს, ხოლო აშშ სამუშაო ადგილებს კარგავს.

**კომერსანტი**

## როგორია ელექტროენერგიის ტარიფები ოკუპირებულ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში



აფხაზეთში ელექტროენერგიის მოხმარება გაიზარდა. როგორც „ენგურჰესის“ გენერალური დირექტორი ლევან მებონია აცხადებს, „ზამთრის სეზონზე წყალსაცავში წყლის მოცულობის შემცირებამ გამოიწვია ის, რომ აფხაზებმა იანვარ-მარტში საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის უდიდესი ნაწილი წაიღეს“.

როგორც ცნობილია, 2018 წლის ელექტროენერგიის ბალანსის მიხედვით, „ენგურჰესისა“ და „ვარდნილჰესის“ მიერ წარმოებული ელექტროენერგიის 92,6% ოკუპირებულ რეგიონს მიეწოდა.

საინტერესოა, რამდენია ოკუპირებულ აფხაზეთში ელექტროენერგიის გადასახადი?

როგორც Allnews.ge-ს ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებმა წყარომ განუცხადა, რეგიონში ელექტროენერგიის გადასახადი ფიქსირებულია და არ აქვს მნიშვნელობა რამდენ კილოვატს მოიხმარ:

– მოსახლეობის ნაწილი, ე.წ. გავლენების მქონე ელიტა, გადასახადისგან მთლიანად თავისუფლდება. ფიზიკურ პირებზე გადასახადი ფიქსირებულია, თუმცა ის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსხვავებულია, მაგალითად, გალის რაიონის სოფლებში ელექტროენერგიის ნებისმიერი ოდენობით მოხმარების შემთხვევაში, მოსახლეობა თვეში 400 რუსულ რუბლს, ანუ, დღევანდელი კურსის გათვალისწინებით, დაახლოებით 15 ლარს იხდის და ეს სხვა რეგიონებში არსებულ ტარიფებთან შედარებით ყველაზე მაღალი ფიქსირებული გადასახადია.

Allnews.ge-ის კიდევ ერთი წყაროს თქმით, ის ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, კონკრეტულად გალის რაიონში, წელიწადში ერთხელ ჩადის და მიუხედავად იმისა, რომ ელექტროენერგიის დიდი რაოდენობით მოხმარებას ვერც ასწრებს, წლის განმავლობაში 2000 რუსულ რუბლს იხდის, რაც დღევანდელი კურსის გათვალისწინებით 77 ლარია, ეს ყველაფერი კი იმით არის განპირობებული, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მასობრივი გამრიცხველიანება ჯერ არ მომხდარა.

დე ფაქტო სახელმწიფო კომპანია Черноморэнерго-ს ოფიციალურ საიტზე მითითებულ ინფორმაციაში ტარიფები სხვანაირად გამოიყურება.

კომპანიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფიზიკური პირები, რომლებიც ელექტროენერგიას საყოფაცხოვრებო დანიშნულებისთვის იყენებენ 1კვ/სთ ელექტროენერგიაში 0,40 რუბლს იხდიან, იურიდიული პირები კი – 0,85 რუბლს. ყველაზე მაღალ გადასახადს, 1,20 რუბლს, ის მომხმარებლები იხდიან, რომლებიც ოკუპირებული აფხაზეთის რეზიდენტებად არ ითვლებიან.

**ბპნ**

## ირაკლი კოვზანაძემ საპარლამენტო ოპოზიციას ეკონომიკაში მიღწეული წარმატებები შეახსენა



– თუ რომელიმე მიმართულებით საქართველომ ბოლო დროს წარმატებას მიაღწია, ერთ-ერთი ეკონომიკაა, – ასე გამოეხმაურა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე პარლამენტის პლენარულ სესიაზე ოპოზიციის წარმომადგენლების კრიტიკას, რომელიც საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების განხილვას მოჰყვა.

ირაკლი კოვზანაძემ საკუთარ გამოსვლაში ბოლო სტატისტიკური მონაცემები გააანალიზა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა შეაფასა. მისი თქმით, საქართველოს მშპ-ის ზრდამ მარტში 5,6%, ხოლო პირველ კვარტალში – 5,2% შეადგინა, მაშინ როცა 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 4,5%-იან ზრდაზე იყო დაგეგმილი.

– მინდა, გაგაცნოთ ბიუჯეტის შესრულების ტემპებიც. კერძოდ, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში შემოსავლებმა გეგმას 221 მილიონი ლარით გადააჭარბა, რაც ნამდვილად კარგი მაჩვენებელია, – განაცხადა მან.

ირაკლი კოვზანაძემ ინფლაციური წნეხის შესუსტებაზეც გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, გასულ წელს საქართველოს მოსახლეობისთვის საკმაოდ მტკივნეული საკითხი იყო ფასების ზრდა. წელს, მარტსა და აპრილში, დეფლაცია დაფიქსირდა; ინფლაციის წლიურმა დონემ გასულ თვეს 2,5% შეადგინა, ეროვნული ბანკის სამიზნე მაჩვენებელი კი 2018 წელს 3%-ია.

– მინდა აღვნიშნო აგრეთვე, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გასულ წელს შემცირდა 12%-დან 8%-მდე, ანუ, ეს მაჩვენებელი, თითქმის, 530 მილიონი დოლარით გაუმჯობესდა, რამაც, თავის მხრივ, დადებითი გავლენა მოახდინა ქართული ლარის სტაბილურობაზე, – აღნიშნა ირაკლი კოვზანაძემ.

კომიტეტის თავმჯდომარემ თავის გამოსვლაში ქვეყანაში მიმდინარე და განხორციელებული რეფორმების შედეგებზე გაამახვილა ყურადღება და გასულ წელს დანერგილ ესტონურ მოდელს რევოლუციური უწოდა. მისი თქმით, საგადასახადო შეღავათის შედეგად ქართულ ბიზნესს ნახევარ მილიარდზე მეტი ლარის საინვესტიციო რესურსი დარჩა, რამაც დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას ხელი შეუწყო.

– ერთობლივი რეფორმები, რომლებზეც მუშაობდა და მუშაობს საქართველოს მთავრობა, პარლამენტი და ეროვნული ბანკი, ეს იქნება დეპოზიტების დაზღვევა, კაპიტალის ბაზრისა თუ საპენსიო რეფორმები, ემსახურება საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებას, – აღნიშნა ირაკლი კოვზანაძემ გუშინდელ პლენარულ სესიაზე.

**კომერსანტი**

## მარცვლეულისა და რძის პროდუქტების ფასები იზრდება, ხოლო შაქრის – მცირდება

FAO-ს სურსათის ფასების თვიური ინდექსი აპრილში პრაქტიკულად არ შეცვლილა და 173,5 ქულა შეადგინა. მარტის თვესთან შედარებით მხოლოდ უმნიშვნელო ზრდა ფიქსირდება, ხოლო გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ინდექსი 2,7%-ით გაიზარდა.

მარცვლეულისა და რძის პროდუქტები ფასების ზრდის ტენდენციას ინარჩუნებენ, ხოლო შაქრის ფასები კვლავაც მცირდება.

FAO-მ ასევე წარმოადგინა 2018/19 წწ სეზონის პირველი პროგნოზი მარცვლეულისათვის. მიმდინარე სეზონისათვის ნავარაუდევია გლობალური გამოშვების მოცულობის, ასევე მარაგების მოცულობის შემცირება. მანამდე ეს ორი მაჩვენებელი სარეკორდო ნიშნულს უახლოვდებოდა.

### საფასო ტენდენციები

მარცვლეულის ფასების თვიურმა ინდექსმა აპრილში 1,7%-ით მოიმატა. ზრდა უკვე მეოთხე თვეა უწყვეტად გრძელდება და ინდექსი გასული წლის აპრილის შესაბამის მაჩვენებელს 15,4%-ით აღემატება. ხორბლის ფასებზე გავლენა იქონია ამინდთან დაკავშირებულმა რისკებმა შეერთებულ შტატებში. ამავე დროს, არგენტინაში გვალვის მოლოდინის შემცირებამ და ნათესი ფართობების შედარებითმა ნაკლებობამ აშშ-ში, სიმინდის ფასების ზრდა განაპირობა. ბრინჯის ფასებიც ასევე გაიზარდა.

რძის პროდუქტების ფასების ინდექსი მარტის თვესთან შედარებით 3,4%-ით გაიზარდა, რაზეც მაღალმა მოთხოვნამ და ახალ ზელანდიაში საექსპორტო მარაგების შესახებ მოლოდინებმა იმოქმედა.

FAO-ს სურსათის ფასების ინდექსი ძირითადი სასურსათოს პროდუქტების გლობალური ფასების ყოველთვიურ ცვლილებებს ასახავს.

დანარჩენი სამი ძირითადი პროდუქტის შემთხვევაში, ფასების შემცირება ფიქსირდება. მცენარეული ზეთის ფასების ინდექსი აპრილში 1,4%-ით დაეცა, ხოლო ხორცის ფასები 0,9%-ით შემცირდა შაქრის ფასების ინდექსი მარტის თვესთან შედარებით 4,8%-ით დაეცა და 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 24%-ით ნაკლებია. დაბალი ფასები ჭარბმა მიწოდებამ განაპირობა, რომელიც, თავის მხრივ, გამოწვეულია სარეკორდო წარმოების მოცულობით ტაილანდსა და ინდოეთში (მსოფლიოში მეორე უმსხვილესი შაქრის მწარმოებელი). ასევე, შაქრის ფასებზე ზეწოლას ახდენს შაქრის უმსხვილესი მწარმოებლის, ბრაზილიის ეროვნული ვალუტის დევალვაცია.

**ბპნ**

# ოზურგეთში 17 წლის ბიჭმა ვენები დაისერა

## „ლურჯი ვეშაპის“ მორიგი მსხვერპლი



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში 17 წლის ბიჭმა ვენები დაისერა. ამის მიზეზი სახიფათო კომპიუტერული თამაში „ლურჯი ვეშაპი“ გახდა.

როგორც „ნიუპოსტისთვის“ ხდება ცნობილი, ახალგაზრდა დღეისთვის ფსიქოლოგებისა და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება.

სამართალდამცავებს ასევე, მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავთ მისი რამდენიმე ყოფილი თანაკლასელი, ვისთანაც ახალგაზრდა დღემდე მეგობრობს.

აღნიშნულ ინფორმაციას ჩვენთან მერიის სკოლის დირექტორი ავთანდილ კეჭაყმაძეც ადასტურებს.

– ეს ბავშვი მეცხრე კლასიდან გავიდა სკოლიდან. უკვე სამი წელია, ჩვენს სკოლაში არ სწავლობს. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რაღაც ძალიან სახიფათო თამაშში იყო ჩათრეული, პოლიციელებმა მომაწოდეს. ეს ბავშვი არის ზედამხედველობის ქვეშ რამდენიმე ყოფილ თანაკლასელთან ერთად, რომლებიც მასთან ურთიერთობდნენ დღემდე. ჩვენც, ადმინისტრაციაც, მთლიანად ჩართული ვართ ამ საკითხში, – ამბობს სკოლის დირექტორი.

# კახეთის გზატკეცილზე მანქანამ მამაკაცი მოკლა



2 მაისს, გვიან ღამით, კახეთის გზატკეცილზე ქვეითად მოსიარულეს ავტომანქანა დაეჯახა. დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მიღებული დაზიანებები სიცოცხლისთვის შეუთავსებელი აღმოჩნდა.

მამაკაცი გუშინ დილით გარდაიცვალა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია და ითვალისწინებს 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

# სოფელ მერიაში სასურსათო მაღაზია გაქურდეს

გუშინ, დილით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში სასურსათო მაღაზია გაქურდეს. ადგილზე ექსპერტ კრიმინალისტები მუშაობდნენ.

როგორც მაღაზიის მეპატრონე ნუკრი ცხომელიძე აცხადებს, ქურდებმა მაღაზიის გისოსები ამოჭრეს და შიგნით შესვლა მას შემდეგ შეძლეს.

მისივე თქმით, ზარალის ზუსტი ოდენობა ამ დროისთვის უცნობია, თუმცა, პირველადი დათვალიერებით, წაღებულია ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელები, სიგარეტი, სურსათი.

# „რა ვერ მოინელა ჩემი მეორედ გათხოვება. გაიქცნენ და ყელგამოჭრილი დატოვეს აქ“

## ხაშურში ბესიკ ომიაძე მოკლეს

ხაშურში ცივი იარაღით 45 წლამდე მამაკაცი, ბესიკ ომიაძე, მოკლეს. მკვლელობა ოჯახურ კონფლიქტსა და შურისძიებას უკავშირდება.

როგორც მეზობლების მონაყოლიდან ირკვევა, ნინო ამყოლაძეს პირველი ქმრის ძმამ მიაკითხა და სამ პირთან ერთად ოჯახში შეიჭრა.

ბუზიაშვილების ოჯახის განცხადებით, მათთან 2 მაისს ღამე უცხო მამაკაცი მივიდა, რის შემდეგაც ერთ-ერთი შვილი სტუმრებთან შესახვედრად გავიდა. ამის შემდეგ მას ოთხმა მამაკაცმა ცემა დაუწყო.

ოჯახის ინფორმაციით, ოთხივე მამაკაცი მას ფიზიკურად გაუსწორდა, შემდეგ კი ჭრილობები მიაყენეს.

– გავიგონე საწოლში ხმა, რას ელაპარაკები ამდენს, მოკალი, ვიღაცამ თავში რკინა დაარტყა. დედამთილს ცალკე გუდავდნენ, მე ვეგონე, ალბათ. მაზლს რკინა ურტყეს თავში. ჩემს ქმარს სცემდნენ, თავი გადაუპეს, – განაცხადა ნინო ამყოლაძემ.

მისი თქმით, ყოფილი მაზლი, ბესიკ ომიაძე, უკმაყოფილო იყო, რადგან ქმარს გაშორდა და სხვაზე დაქორწინდა.

– მაზლი ვერ მპატიობდა, რომ მე გავშორდი და მერე გავთხოვდი. მაზლი მემუქრებოდა, ქმარი, პირიქით, მეუბნებოდა, წადი, იყავი ბედნიერიო, – აღნიშნა ამყოლაძემ.

37 წლის ქალი ირწმუნება, რომ ყოფილი მაზლი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო და მის ცემას ცდილობდა.

– ჩემმა ქმარმა დამიცვა და ნახეთ, რაც მოხდა. ყოფილ ქმართან კარგი ურთიერთობა მაქვს. ბავშვებიც მასთან არიან ახლა. მაზლმა რა ვერ მოინელა ჩემი მეორედ გათხოვება, ვერ გამიგია. თავი გაუჩეხა ჩემს მეუღლეს. ის შემოვარდა და ძმას დაუძახა საშველად. მეზობლებიც მოვიდნენ ხმაურზე. ყოფილ მაზლთან მყოფი პირები მისივე მანქანით გაიქცნენ და ყელგამოჭრილი დატოვეს აქ,– ამბობს მოკლულის ყოფილი რძალი.

– მისივე მოტანილი დანით მოკვდა, ბავშვები თავს იცავდნენ, – აცხადებს ოჯახის წევრი.

სისხლიანი დაპირისპირების შედეგად დაჭრილები არიან ძმები ბუზიაშვილები. ისინი საავადმყოფოში იმყოფებიან.




– შვილები დანით მიჩეხეს, – აცხადებს გოგოს დედამთილი, ეთერ ნოზაძე.

გავრცელებული ინფორმაციით, ბესიკ ომიაძე თბილისში, გუდამაყრის ქუჩაზე ცხოვრობდა. მამაკაცს ოთხი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 108-ე მუხლით, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

**ნიუპოსტი, რუსთავი 2**

# თემურ ბასილია საქართველოში დაბრუნებას აპირებს



საქართველოს ყოფილი ვიცეპრემიერი, ყოფილი პრეზიდენტის ეკონომიკური მრჩეველი, თემურ ბასილია, საქართველოში დაბრუნებას აპირებს. ამის შესახებ თემურ ბასილიამ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

ბასილიას თქმით, სასამართლომ დეტალურად განიხილა მისი საქმე: დაკითხა 20-მდე მოწმე, შეისწავლა პროკურატურის და დაცვის მხარის მიერ წარდგენილი არაერთი მტკიცებულება და ამის საფუძველზე მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება.

– ასევე მინდა აღვნიშნო პროკურატურის როლი, რომელმაც საქმის დეტალურად შესწავლის შემდეგ მიმართა სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის პოლიტიკურად მოტივირებული, უკანონო და არასამართლიანი განაჩენის გადახედვის თხოვნით, – განაცხადა თემურ ბასილიამ.

სისხლის სამართლის საქმეთა პალატის დღევანდელი გადაწყვეტილებით, თემურ ბასილია უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გაუქმდა 2008 წლის 28 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც თემურ ბასილიას მსჯავრი დაედო.

შეგახსენებთ, რომ თემურ ბასილია 2004 წლიდან შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. ბასილია ქრთამის აღებაში იყო დამნაშავედ ცნობილი.

# ბარნოვზე მომხდარი მკვლელობა, შესაძლოა, ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ



25 წლის თამარ გამრეკელაშვილის მკვლელობის საქმე, შესაძლოა, ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ.

მკვლელობაში ბრალდებულის უფლებადამცველი აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომელიც ბრალდებულ ვეფხია ბაქრაძეს აქვს წარდგენილი, ნაფიცი მსაჯულების მიერ განსჯად დანაშაულებს განეკუთვნება, თუმცა უცნობია, დათანხმდება თუ არა ვეფხვია ბაქრაძე აღნიშნულ შესაძლებლობას.

ბრალდებულის ადვოკატის განცხადებით, ამ საკითხზე ვეფხია ბაქრაძეს ჯერ გადაწყვეტილება არ აქვს მიღებული.

გამოძიების ინფორმაციით, 25 წლის ქალს მამინაცვალმა ყელი 13 აპრილს თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე, შვილების თვალწინ გამოსჭრა.

ვეფხია ბაქრაძე საზარელი მკვლელობიდან მეორე დღეს თელეთში დააკავეს.

# მტკვრის მარცხენა სანაპიროზე 4 მანქანა ერთმანეთს შეეჯახა




მტკვრის მარცხენა სანაპიროზე 4 მანქანა ერთმანეთს შეეჯახა. შემთხვევა გუშინ დილით მოხდა. შეჯახების შედეგად არავინ დაშავებულა. ავარიის გამო სანაპიროზე საცობი გაჩნდა და ავტომობილების გადაადგილება შეფერხებული იყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, ავტოსაგზაო შემთხვევაზე რეაგირება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად მოხდა.

# გიორგი კვირიკაშვილი: „ქვეყანა საგანგებო სიტუაციების მართვის სრულიად ახალ მოდელზე გადადის“

– ჩვენ განვიხილავთ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს რეფორმების ძალიან მნიშვნელოვან პაკეტს, რომლის მიხედვითაც, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა გადადის საგანგებო სიტუაციების მართვის სრულიად ახალ მოდელზე, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე.

მისი თქმით, ახალი მოდელი ითვალისწინებს გაცილებით უფრო მეტ ჩართულობას, უფრო ეფექტურია და, ასევე, არის უფრო გამარტივებულიც.

– დეტალურად იმიჯნება სახელმწიფო უწყებების კომპეტენციები და საგანგებო სიტუაციების სამსახური ხდება შემფასებელი, გადაწყვეტილებების მიმღები, შესაბამისად – პასუხისმგებელიც და კოორდინატორიც.

ამას გარდა, რეფორმების პაკეტი ითვალისწინებს სხვა სიახლეებსაც. ესენია – მოხალისეთა სისტემა, ალტერნატიული სამხედრო სამსახური და კრიზისების პრევენციის მიზნით სამეცნიერო წრეების ჩართვა.

სამართლებრივი ბაზის სრულყოფის პარალელურად, ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ საგანგებო სიტუაციების სამსახურის ინფრასტრუქტურის გაძლიერებასა და განახლებაზე. უკვე გამოცხადებულია ტენდერი სპეციალურად ტყეებისთვის სახანძრო მანქანების შეძენაზე.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი შეთანხმება იქნა მიღწეული ავსტრიულ კომპანიასთან, რომელიც მსოფლიოში გახლავთ ლიდერი ასეთი ტიპის მოწყობილობების წარმოების, ეს არის – „როზენბაუერი“. ის ჩვენს ქართულ კომპანია „დელტასთან“ ერთად დაიწყებს ოპერატიული სახანძრო მანქანების ერთობლივ წარმოებას. „პიკაპის“ ჩონჩხზე აწყობილი მანქანები იქნება, რომლებსაც ექნება კომპანია „როზენბაუერის“ აპარატურა და მოწყობილობა, რაც არის მსოფლიოში აპრობირებული, ძალიან ეფექტური ოპერატიული სახანძრო-სამაშველო მანქანები.

დარწმუნებული ვარ, უკვე მალე, რამდენიმე თვეში გვექნება პირველი ეგზემპლარები და წლის ბოლომდე, პრაქტიკულად, ასეთი ტიპის მანქანების გამართული წარმოება უნდა გვქონდეს, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

**მედიანიუსი**

# მედიის თავისუფლების ინდექსით, 2018 წელს საქართველო 180 ქვეყანას შორის 61-ე ადგილზეა

3 მაისს მსოფლიო პრესის თავისუფლების დღეს აღნიშნავს.

1991 წლის 3 მაისს აფრიკელი ჟურნალისტები, იუნესკო-სთან თანამშრომლობით, ნამიბიის სემინარზე შეიკრიბნენ და ,,ვინდჰუკის“ დეკლარაცია მიიღეს. დეკლარაციით მათ მთავრობებს პრესის თავისუფლებისა და მისი დემოკრატიული ხასიათის უზრუნველყოფისკენ მოუწოდეს.

1993 წელს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ 3 მაისი მსოფლიო პრესის თავისუფლების დღედ ოფიციალურად გამოაცხადა.

საერთაშორისო ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ რამდენიმე დღის წინ ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც მედიის თავისუფლების ინდექსით, 2018 წელს საქართველო 180 ქვეყანას შორის 61-ე ადგილზეა.

https://rsf.org/en/ranking/2018 ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში მედია პლურალისტულია, თუმცა ჯერ კიდევ პოლარიზებული. ასევე ნათქვამია, რომ ბოლო წლების რეფორმებმა გამჭვირვალობისა და პლურალიზმის განვითარება მოიტანა, თუმცა მფლობელები სარედაქციო პოლიტიკაში ხშირად ერევიან.

შარშანდელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი სამი პუნქტითაა გაუმჯობესებული.

რეიტინგის მიხედვით, პირველ ადგილს ნორვეგია იკავებს, ხოლო ყველაზე ნაკლები თავისუფლება ჟურნალისტებს ჩრდილოეთ კორეაში აქვთ.

„რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ პრესის თავისუფლების ინდექსს, 180 ქვეყნის მიხედვით, ყოველწლიურად აფასებს.

**მედიანიუსი**

# რუსეთმა სამხედრო ხარჯები შეამცირა

რუსეთმა სამხედრო ხარჯები მკვეთრად შეამცირა. 2017 წელს რუსეთმა არმიაზე 3,9 ტრილიონი რუბლი დახარჯა. ეს 2016 წლის მაჩვენებელზე 17%-ით ნაკლებია.

ხელისუფლებაში პუტინის მოსვლის შემდეგ რუსეთმა სამხედრო ხარჯები პირველად შეამცირა.

მსოფლიო პრობლემების კვლევის სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტის ექსპერტების აზრით, კრემლი იძულებული გახდა, სამხედრო ხარჯები შეემცირებინა. უკრაინაში გაჭიანურებულმა ომმა, სირიაში ასადის მხარდაჭერამ რუსეთი აბსოლუტურ იზოლაციაში მოაქცია. სანქციებმა ქვეყნის ეკონომიკას უდიდესი დარტყმა მიაყენა.

ამას გარდა, კრემლის აგრესიულმა პოლიტიკამ დასავლეთის მხრიდან კონტრნაბიჯები გამოიწვია. რიგმა ქვეყანამ თავდაცვისთვის გამოყოფილი ხარჯები მკვეთრად გაზარდა. რუსეთი უძლური იყო, გამალებულ შეიარაღებაში ჩართულიყო. სამხედრო სფეროზე გამოყოფილი ხარჯებიც შეამცირეს.



# სომხეთის მმართველი პარტია პაშინიანის კანდიდატურას დათანხმდა




სომხეთის პარლამენტში ნიკოლ პაშინიანის პრემიერად დამტკიცების ჩაგდების შემდეგ ერევანში გაიფიცა მეტრო და აეროპორტი, გაჩერდა ყველა დაწესებულება. პარალელურად ოპოზიციის მომხრეებმა ერევნის ყველა ცენტრალური ქუჩა გადაკეტეს. ქალაქი პრაქტიკულად პარალიზებული აღმოჩნდა.

მმართველი პარტია იძულებული გახდა, უკან დაეხია.

სომხეთის რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა ბაღდასარიანმა განაცხადა, რომ მისი პარტია პაშინიანის კანდიდატურაზე თანახმაა. პრემიერობაზე განმეორებითი კენჭისყრა 8 მაისს გაიმართება. თავად პაშინიანი აცხადებს, რომ ხალხის ნებას წინ ვერავინ აღუდგება. ოპოზიციის ლიდერმა არ გამორიცხა, რომ ხელისუფლებამ იცრუოს, თუმცა ეს მას ველარ უშველის.

– ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში გავიმარჯვებთ, მაშინაც, თუ პრემიერად დამამტკიცეს და მაშინაც, თუკი მმართველმა ხროვამ სიტყვა გატეხა, – განუცხადა ჟურნალისტებს პაშინიანმა.

უკრაინელ ექსპერტ ვიტალი პორტნიკოვის აზრით, სომხეთის პარლამენტში პაშინიანის კანდიდატურის ჩაგდება უშუალოდ პუტინის ბრძანებით მოხდა. დიახ, პაშინიანი (ისევე, როგორც ყველა სომეხი პოლიტიკოსი) რადიკალურად პროდასავლელი ვერ იქნება. სომხეთიც რუსეთს ვერ მოსწყდება. მაგრამ კრემლს თავად პრეცედენტი აშფოთებს: ერევანში ხელისუფლება არა კლანებს შორის გარიგებებითა და მოსკოვის მხარდაჭერით, არამედ ხალხის საპროტესტო აქციების შედეგად იცვლება, სომხეთი კი ევრაზიული კავშირისა და დსთ-ის კოლექტიური თავდაცვის სისტემის წევრია.

– ის, რაც დღეს სომხეთში ხდება, შესაძლოა ხვალ როგორც ბელორუსში, ასევე მოსკოვშიც განმეორდეს! პუტინს ყველაზე მეტად საკუთარი ხალხის ეშინია, – ამბობს პორტნიკოვი.

# უკრაინა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს შეუერთდა

უკრაინა რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს შეუერთდა. ამის თაობაზე პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა.

– ჩვენ ამერიკელებთან ერთად სინქრონულად ვმოქმედებთ, – აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა.

პოროშენკომ ასევე განაცხადა, რომ უკრაინა წყვეტს ყოველგვარ საქმიანობას დსთ-ში, დადგება საკითხი ამ გაერთიანების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების გაუქმებისა და ა.შ.

– რუსეთი ჩვენთან ომს აწარმოებს! მოსკოვმა უკრაინის ტერიტორიის ნაწილი მოიტაცა! რომელ მეგობრობაზეა ლაპარაკი?! – აცხადებს პოროშენკო.

უკრაინელთა 77% რუსეთთან დადებული ყველა კავშირის გაწყვეტის მომხრეა; 81% რუსეთს მტრულ სახელმწიფოდ მიიჩნევს, მაგრამ პარალელურად რუსი ხალხის მიმართ აგრესიას არ განიცდის.

– ჩვენ რუსეთის იმპერია გვებრძვის, რომელმაც თავისივე მოქალაქეები დააბეჩავა! – ასე ფიქრობს უკრაინელთა 71%.

უკრაინელთა 81% თავს საკუთარი ქვეყნის პატრიოტად მიიჩნევს; 2011 წელს ეს მაჩვენებელი 22%-ს არ აღემატებოდა. 67% მხარს უჭერს ერთიანი უკრაინული ავტოკეფალიური ეკლესიის შექმნას. შეკითხვაზე,




რუსეთის მხრივ ფართომასშტაბიანი აგრესიის შემთხვევაში იარაღს აიღებთ თუ არაო, დადებითი პასუხი 60%-მა გასცა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## ინდიელები შამანის გამო კანადელ ტურისტს გაუსწორდნენ



პერუში მდინარე ამაზონის დაბლობში მცხოვრები აბორიგენი მოსახლეობა გაუსწორდა კანადელს, რომელმაც, მათი აზრით, მათი უხუცესი მკურნალი მოკლა.

ინდიელთა შილიბო-კონიბოს ტომის 81 წლის შამანი ოლივია არევალო საკუთარ სახლთან ორი გასროლით იქნა მოკლული. პროკურორ რიკარდო პალმა ხიმენესის თქმით, არევალოს მკვლელობის საქმეში ეჭვმიტანილი ჯერ არ ჰყავთ. თუმცა ადგილობრივი სოფლების მცხოვრებლებმა იფიქრეს, რომ ამ საქმეში მკურნალის ერთ-ერთი კლიენტი იყო გარეული და ის ლინჩის წესით გაასამართლეს.

თვითმხილველებმა ვიდეოზე გადაიღეს გუბეში ჩაგდებული ადამიანი, რომელსაც ადგილობრივებმა თავზე თოკი შემოახვიეს და უცნობი მიმართულებით წაათრიეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ ის 41 წლის კანადის მოქალაქე სებასტიან ვუდროფი იყო, რომელიც პერუში არევალოს სახლის შორიახლოს ცხოვრობდა. მისი სხეულის გაკვეთამ აჩვენა, რომ ის გაგუდეს.

– ჩვენ არ დავმშვიდდებით, სანამ ორივე მკვლელობას არ გამოვიძიებთ, – განაცხადა პროკურორმა ხიმენესმა.

პერუს ხელისუფლების ცნობით, პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ადგილობრივი ტომის წარმომადგენლები თვითნებურად ახორციელებენ სამართალს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## შოტლანდიელებს იაფფასიანი ვისკი აუკრძალეს

შოტლანდიაში მინიმალური ფასები დაადგინეს ალკოჰოლზე. ახალი წესებით, 13-გრადუსიანი 0,75 ლიტრი მოცულობის ღვინო არ შეიძლება, რომ 4,88 ფუნტზე იაფი ღირდეს, 0,7-ლიტრიანი ბოთლი ვისკის მინიმალური ფასი 14 ფუნტით განისაზღვრა, ხოლო ორი ლიტრი 5-გრადუსიანი სიდრის ფასი ხუთი ფუნტიდან დაიწყება.



აღსანიშნავია, რომ შოტლანდიაში ყოველ 100 ათას მამაკაცზე ალკოჰოლით დაღუპვის 30 შემთხვევა მოდის. შედარებისთვის, ირლანდიაში ეს მაჩვენებელი 22 შემთხვევას შეადგენს, ხოლო ინგლისსა და უელსში – 14-14-ს. ყოველ კვირას შოტლანდიაში სპირტიან სასმელებთან დაკავშირებული ავადმყოფობისგან 22 ადამიანი კვდება. ეს პრობლემა შოტლანდიის მედიცინას წელიწადში სამი მილიარდი ფუნტი უჯდება.

ალკოჰოლური სასმელების მინიმალური ღირებულების კანონპროექტი შოტლანდიაში 2012 წელს მიიღეს, თუმცა მის წინააღმდეგ შოტლანდიური ვისკის ასოციაცია გამოვიდა.

ორგანიზაციამ ევროპის სასამართლოს მიმართა, რომელმაც 2015 წელს დაადგინა, რომ ეს საკითხი დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. 2017 წლის ნოემბერში ბრიტანეთის სასამართლომ შოტლანდიის ხელისუფლებას სპირტიან სასმელებზე მინიმალური ფასის დაწესების უფლება მისცა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება, "პახმელიის",ზაპოის", აგრესიის და ყველანაირი გართულების მოხსნა. (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში პაციენტისგან ფარულად) კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მკურნალობაა, მცენარეული, მაღალეფექტური, გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

# ლივერპულმა კიევის ბილეთები შეუკვეთა

**რომა-ლივერპული 4:2**
**რომი. ოლიმპიკო**
**0:1 მანე (9), 1:1 მილნერი (11სკ), 1:2 ვეინალდუმი (25), 2:2 ჯეკო (53), 3:2, 4:2 ნაინგოლანი (86, 90პ)**

**რომა:** ალისონი, ფლორენცი, მანოლასი, ფაზიო, კოლაროვი, პელეგრინი (იუნდერი 53), დე როსი (გონალონი 69), შიკი, ნაინგოლანი, ელ შაარავი (ანტონუჩი 75), ჯეკო

**ლივერპული:** კარიუსი, ალექსანდერ-არნოლდი (კლაინი 90+2), ლოვრენი, ვან დეიკი, რობერტსონი, მილნერი, ჰენდერსონი, ვეინალდუმი, სალაჰი, ფირმინო (სოლანკე 87), მანე (კლავანი 83)

სერიის მეორე მატჩიც თვალსასეირო გამოდგა. გოლებიც ბევრი გავიდა, სასიამოვნო მომენტებიც ბლომად იყო, კურიოზებიც. მთლიანობაში დაპირისპირება შედგა – 2 მატჩში 13 გოლი გავიდა, ფეხბურთის ნეიტრალურმა გულშემატკივარმა მეტი რა უნდა ინატროს.

დასაწყისი რომასთვის კოშმარული გამოდგა: რაჯა ნაინგოლანი უხეშად შეცდა, ბურთი მეტოქეს ჩააბარა. ლივერპული კი კონტრშეტევაზე შეუდარებელია და სადიო მანემაც დასაჯა რომაელები.



თუმცა, ლივერპულმა ამ საჩუქარს მხურვალე მადლობა გადაუხადა: ლოვრენმა ბურთი ამოტანის დროს პირდაპირ მილნერს გაარტყა, რომელმაც საკუთარ კარში ჩაჭრა და ანგარიშიც გათანაბრდა.

მომდევნო გოლი რომაელებმა მოიფიქრეს საკუთარ კარში... კუთხურის შემდეგ ბურთი ამოტანის მაგივრად ვეინალდუმს მიაწოდეს და მანაც წინ გაიყვანა ლივერპული. „წითლებმა" შესვენებამდე შეინახეს ეს ანგარიში შემდეგ კი...

მე-2 ტაიმი რომამ უფრო ძლიერად ჩაატარა. მალევე ჯეკომ გაათანაბრა, რის შემდეგ ბევრი მომენტიც შექმნეს, 2 პენალტიც ეკუთვნოდათ, მაგრამ ბურთი ჯიუტად არ შედიოდა ლივერპულის კარში, რომლის გასაღები მატჩის ბოლოს ნაინგოლანმა მოძებნა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

რომაელთა ნახევარმცველმა ჯერ საჯარიმოს გარედან შეაგდო, შემდეგ 11 მეტრიდან დაჰკრა ზუსტად.

ფინალში კი ლივერპული გავიდა, სადაც მას რეალი ელოდებოდა... ევროპის ყველაზე პრესტიჟული საფეხბურთო ჯილდო 26 მაისს კიევში გათამაშებდა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ედინ ჯეკო

რომადან საუკეთესოები ჯეკო და ნაინგოლანი იყვნენ, თუმცა ორივე მათგანმა მოიფიქრა ბურთი საკუთარ კარში. და მაინც ბოსნიელს გამოვყოფთ – ძალიან ბევრი იშრომა, ბევრი ორთაბრძოლაც მოიგო და კარგად ამწვავებდა სიტუაციას მეტოქის კართან.

**ეუსებიო დი ფრანჩესკო:**

– რაც ჩვენ გავაკეთეთ, დაუჯერებელია. დამიჯერეთ, ფეხბურთელებისთვის ეს გამარჯვება ძალიან იოლი არ ყოფილა, ვინაიდან მეტოქეს ორი გოლი ვაჩუქეთ და ვმარცხდებოდით. ფაქტობრივად, იდეალური მატჩი იყო. ამ თამაშმა უნდა დაგვარწმუნოს, რომ ასეთ დონეზე კარგი შედეგების მიღწევა შეგვიძლია. ფსიქოლოგიური და მიზანსწრაფულობის თვალსაზრისით, ამ გუნდმა რაღაც წარმოუდგენელი კიდევ ერთხელ გააკეთა. ბიჭებმა იდეალური მატჩი ჩაატარეს და მეორე ტაიმშიც კი, მჯეროდა, რომ გამოგვივიდოდა. 1:2 ვმარცხდებოდით, მეტოქეს ორი ბურთი ვაჩუქეთ, მაგრამ რეაგირება, რომელიც მერე გუნდმა მოახდინა, ამაყს მხდის. ფსიქოლოგიურად გავიზარდეთ და ამით, ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ წინ ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი და უნდა მოვუმატოთ. პირველ მატჩში მეტოქემ დიდებული პირველი ტაიმი გამართა, ახლა კი, იგივე ჩვენ გავაკეთეთ. მომდევნო ეტაპზე ის გუნდი გავიდა, რომელიც პატარ-პატარა დეტალებში უფრო ძლიერი იყო. ეს არ აკნინებს ლივერპულის მიღწევას – ამ გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა.

**იურგენ კლოპი:**

– განვითარებისთვის ჩვენ ძალიან დიდი გზა გავიარეთ. მეორე ტაიმში თავს კარგად ვერ ვიცავდით. ჩვენი გუნდის უმეტესი მოთამაშეებისთვის ასეთ ტურნირზე ნახევარფინალური ეტაპი პირველი გამოცდილება იყო, ასე რომ, მათი თამაში აბსოლუტურად ნორმალური იყო. ასეთ სიტუაციებში ნერვების კონტროლი ურთულესი საქმეა. ის, რაც ბიჭებმა დღეს მოედანზე გააკეთეს, მათი მენტალობა, შრომისუნარიანობა, ქარიზმა – აბსოლუტური სიგიჟე იყო. ჩვენ ფინალში გასვლა 100%-ით დავიმსახურეთ. მართალია, რომ დღევანდელი მატჩი წავაგეთ, თუმცა რეალს ძალიან გაუმართლა იუვენტუსთან მატჩში. ჩვენ მოსამზადებლად ორი კვირა გვაქვს. მოდით, კიევში ჩვენი საუკეთესო თამაში ვაჩვენოთ!

# ბრძოლა და ჩხუბი — დილამ და დინამომ გამარჯვებული ტრიბუნებზეც ვერ გაარკვიეს

**დილა-დინამო 1:1**
**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**
**0:1 ზივზივაძე (24), 1:1 ნონიკაშვილი (33)**

**დილა:** ბეგაშვილი, მაჩაიძე, კვახაძე, ჩადუნელი, სუხიაშვილი, რაძმაძე, ნონიკაშვილი, რაჟამაშვილი (ლამპტი 70), რიბეირო (კოვტალიუკი 85), ქავთარაძე, ფანცულაია (ფორტისი 65)

**დინამო:** ბულისკერია, რუხაია, თოთაძე, კობოური, ხარაბაძე, ივანისენია (ქოჩლაძე 46), ნინუა, შულაია (ძალამიძე 83), კიტეიშვილი, ივანიშვილი, ზივზივაძე

**გაძევება:** რაზმაძე (75), თოთაძე (90)



გორში ეროვნული ლიგის მეცხრე ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა. დილასა და დინამოს შეხვედრა პირველივე წუთებიდან აქტიურად დაიწყო.

პირველი სახიფათო მომენტი კი მასპინძლებმა შექმნეს: მე-11 წუთზე ნოდარ ქავთარაძის მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებული სტუმართა კარის ძელს მოხვდა. საპასუხოდ თბილისელებმა 24-ე წუთზე გახსნეს ანგარიში. ოთარ კიტეიშვილის პასს ბუდუ ზივზივაძის კარგი თამაში მოჰყვა და დინამო დაწინაურდა.

გორელმა ფეხბურთელებმა ათიოდე წუთში აღადგინეს წონასწორობა. საჯარიმოს მისადგომებიდან ლევან ნონიკაშვილმა დაარტყა ზუსტად – 1:1.

მომდევნო შეტევაში უკვე სტუმრებს მართებდათ გოლის გატანა. ზივზივაძის ძლიერი დარტყმული ოდნავ აცდა გიორგი ბეგაშვილის კარს. შემდეგ კი ლევან ხარაბაძემ გაირბინა მარცხენა ფრთა და მისი გადაცემა საბოლოოდ მეკარემ ჩაჭრა და პირველი ტაიმიც ფრედ დასრულდა.

მეორე ნახევარი პირველის დარად მაღალ ტემპში წარიმართა. ბურთი შეიძლება ითქვას ცენტრში არც ჩერდებოდა. 55-ე წუთზე კიტეიშვილი-ზივზივაძის შეტევა ბოლო წამს მეკარემ ჩაშალა, საპასუხოდ კი ქავთარაძის დარტყმული ბოლო კარის ხაზზე ნონიკაშვილს მოხვდა და დინამოს კარი გადარჩა.

85-ე წუთზე დინამო ისევ გადაურჩა გაშვებულ გოლს – ქავთარაძის დარტყმული სანტიმეტრებში ასცდა ბულისკერიას კარს. საპასუხოდ კი კიტეიშვილი-ხარაბაძე-ძალამიძის კომბინაციას ეს უკანასკნელი უძლიერესი დარტყმით ასრულებდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც შემტევს მიზანმა უმტყუნა.

საბოლოოდ საკმაოდ თვალსასეირო და საინტერესო შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა.

ბოლოს კი ძალიან არასასიამოვნო ფაქტი მოხდა: გორელთა შემტევი მიკოლა კოვტალიუკი დინამოელთა მეკარე ბულისკერიას ბრძოლაში შეეჯახა, მეკარე ლაშა თოთაძემ დაიცვა, მაგრამ „საქმის გარჩევით". მსაჯმა ფეხბურთელები დააშოშმინა, მაგრამ 30 წამით – თამაშის დასრულების შემდეგ გარჩევა ისევ გაგრძელდა, ახლა უკვე საქმეში ბულისკერიაც ჩაერთო. საბოლოოდ, მსაჯმა თოთაძე მოედნიდან გააძევა, ხოლო ბულისკერიასა და კოტალიუკს ყვითელი ბარათები უჩვენა.

დაძაბულობამ მოედნიდან ჯერ ტრიბუნებზე, შემდეგ სტადიონის პერიმეტრზე გადაინაცვლა. გულშემატკივრებს შორის ატყდა გინება, რასაც თან სკამების, ბოთლებისა და ქვების სროლა დაერთო. პოლიციამ გორელი გულშემატკივარი სტადიონს გაარიდა, პერიმეტრი გადაკეტა და მხოლოდ ამის შემდეგ გაუშვა თბილისისკენ დინამოს ფანკლუბი.

გულშემატკივრებს შორის მომხდარი დაპირისპირების შესახებ შსს-მ ძიება სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურების მუხლით დაიწყო. სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარი დაპირისპირების შედეგად არავინ დაშავებულა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებისა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟების დროული რეაგირების შედეგად გორის საფეხბურთო სტადიონზე მომხდარი დაპირისპირება განმუხტულია და ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. საფეხბურთო კლუბების, გორის დილასა და თბილისის დინამოს მატჩის მიმდინარეობისას ფეხბურთელებს შორის მოედანზე დაპირისპირება დაიწყო. კონფლიქტში ჩაერთვნენ გულშემატკივრებიც. სიტყვიერი შეურაცხყოფა ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ორივე გუნდის მხარდამჭერებმა დაამტვრიეს და დააზიანეს სტადიონის სკამები. სამართალდამცველების დახმარებით ორივე გუნდის მოთამაშეებმა სტადიონი უსაფრთხოდ დატოვეს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დაიწყო, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

**რუსთავი-ლოკომოტივი 1:0**
**თბილისი. მიხეილ მესხი**
**1:0 მიქელთაძე (4)**

**რუსთავი:** რევიშვილი, ცარიკაევი, გეგეჭკორი, მ.კობახიძე, ცხოვრებოვი, ცინცაძე, ხადარცევი (კვირკვია 74), ციცქიშვილი (ფონიავა 55), მაქაცარია (მარცვალაძე (85), გაბულოვი, მიქელთაძე

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ნ.ჭანტურია, ლობჟანიძე, უბილავა, გაბაძე (არველაძე 31), გვალია, სამურკასოვი (ჯიქია 74), ღონღაძე, შონია (ძებნიაური 77), რ.ჭანტურია, გავაშელიშვილი

რუსთავმა მორიგი გამარჯვება ჩაიწერა აქტივში და სატურნირო ცხრილში მდგომარეობა კიდევ უფრო გამოიკეთა. ქვემოქართლელებმა ბექა მიქელთაძის გოლით მოუგეს თბილისის ლოკომოტივს, რომელმაც ეროვნული ლიგის პირველი წრე ბოლო ადგილზე დაასრულა.

ანგარიში მასპინძლებმა მე-4 წუთზე გახსნეს. დაცვის ცენტრში დაშვებული შეცდომის შემდეგ, თამაზ მაქაცარიამ ისარგებლა და ბექა მიქელთაძეს გაატანინა.

ლოკომოტივს ანგარიშის გათანაბრება ტაიმის მიწურულს შეეძლო. ვატო არველაძის დარტყმა ხარიხას მოხვდა.

მეორე ტაიმში საგოლე მომენტი თითქმის არ შექმნილა. უფრო მეტს უტევდნენ თბილისელები, ოღონდ რუსთავის დაცვა კარგად მოქმედებდა. თემურ შონიამ და ლაშა გვალიამ, წონასწორობის აღდგენა შორეული დარტყმებით სცადეს, თუმცა მათი ცდა არაზუსტი აღმოჩნდა.

მოგების მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ რუსთავმა მაგარი თამაში აჩვენა, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა მეტოქე უფრო სუსტი ჰყავდა ამით იხეირა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 9 | 7 | 0 | 2 | 17-6 | 21 |
| 2.დინამო | 9 | 6 | 1 | 2 | 19-9 | 19 |
| 3.ჩიხურა | 9 | 5 | 3 | 1 | 15-6 | 18 |
| 4.დილა | 9 | 4 | 4 | 1 | 16-11 | 16 |
| 5.რუსთავი | 9 | 4 | 2 | 3 | 9-7 | 14 |
| 6.ტორპედო | 9 | 4 | 1 | 4 | 12-9 | 13 |
| 7.კოლხეთი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-21 | 8 |
| 8.სიონი | 9 | 2 | 1 | 6 | 7-16 | 7 |
| 9.სამტრედია | 9 | 1 | 3 | 5 | 3-9 | 6 |
| 10.ლოკომოტივი | 9 | 1 | 1 | 7 | 8-21 | 4 |

# საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ფინიქს სანზს გაწვრთნის

იგორ კოკოშკოვი, რომელიც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს 2008-15 წლებში წვრთნიდა, ნბა-ს კლუბ ფინიქს სანზის მთავარი მწვრთნელი გახდა.

ფინიქსის გენერალური მენეჯერი რაიან მაკდონაჰი 3 დღის წინ ჰიუსტონში იყო, სადაც იუტა ჯაზმა, რომლის მთავარი მწვრთნელის ასისტენტიც კოკოშკოვია, პლეი ოფის მეორე წრის სერია ადგილობრივ როკეტსთან გახსნა. ფინიქსის მენეჯერმა სერბ სპეციალისტს 3-წლიანი კონტრაქტი შესთავაზა, რაზეც კოკოშკოვი დათანხმდა.

ფინიქსმა გასული სეზონი ყველა გუნდზე უცუდესი შედეგით დაასრულა – 21 მოგება, 61 წაგება. არიზონელთა ხელმძღვანელობა ახალი გუნდის ფორმირება განუზრახავს და ახალგაზრდა სუპერვარსკვლავ დევინ ბუკერთან ერთად ერთ-ერთ საყრდენად იგორ კოკოშკოვი შეარჩია. სერბი სპეციალისტის მთავარ მწვრთნელად დანიშვნით თითქმის გადაწყდა, რომ მომავალ დრაფტზე პირველი ნომრის მფლობელი ფინიქსელები სლოვენიელ ვარსკვლავ ლუკა დონჩიჩს აიყვანენ. დონჩიჩთან ერთად კოკოშკოვმა გასულ სექტემბერს სლოვენიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონობა მოაგებინა და დიდი ალბათობით სერბი სპეციალისტი სლოვენიელ ვარსკვლავთან ნბა-შიც გააგრძელებს მუშაობას.

სლოვენიის ნაკრებამდე კოკოშკოვი საქართველოს ეროვნულ გუნდს წვრთნიდა, რომელიც ევროპის ბ დივიზიონიდან ელიტაში აღაზევა, შემდეგ კი კონტინენტის საუკეთესო 12 ნაკრებში შეიყვანა. კოკოშკოვმა ქართველებს 3 ევრობასკეტზე უთავკაცა და 2-ჯერ ჯგუფიდან გაიყვანა.



**კოკოშკოვი ნბა-ს რამდენიმე კლუბში მუშაობდა ასისტენტად:** კლიპერსში (2002-03), დეტროიტ პისტონსში (2003-08), ფინიქს სანსში (2008-13), კლივლენდ კავალიერსში (2013-14), ორლანდო მეჯიქში (2015), იუტა ჯაზში (2015-18).

იგორ კოკოშკოვი პირველი არაამერიკელი ასისტენტია, რომელიც ნბა-ს ჩემპიონი გახდა. ეს კოკოშკოვმა 2004 წელს დეტროიტში მუშაობისას შეძლო. 2010 წელს კოკოშკოვმა ამერიკის მოქალაქეობა მიიღო.

შეთანხმების თანახმად, კოკოშკოვი ფინიქსში მუშაობას პლეი ოფში იუტა ჯაზის ასპარეზობის დასრულების შემდეგ შეუდგება. ცნობისთვის, იუტელებმა რეგულარული ჩემპიონატის მომგებ ჰიუსტონ როკეტსს მეოთხედფინალურ სერიაში ანგარიში 1:1 გაუთანაბრეს და მოედნის უპირატესობას დაეპატრონნენ.

*მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა*

# გიორგი ქიაბრიშვილი: „ძალიან გვინდა, საბურთალოს სახელი ევროპაში გავიტანოთ“



პირველი წრის პირველი ნაწილი საბურთალომ პირველი ადგილით დაასრულა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ქიაბრიშვილმა განვლილ ნაწილზე ისაუბრა.

**გიორგი ქიაბრიშვილი:**

– პირველი წრე ნაყოფიერი გამოგვივიდა. ამ დროისთვის, არცერთ კლუბს არა აქვს ის შედეგი, რაც საბურთალომ აჩვენა. ფეხბურთელების დიდი დამსახურებაა, რომ ამ რაოდენობის ქულებს მოვუყარეთ თავი. საკმაოდ ნაყოფიერი შეკრებები გავიარეთ და მიხარია, რომ შრომა გვიფასდება. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი 9 თამაშიდან 21 ქულას. ეროვნულ ლიგაში თანაბარი კლუბები არიან თავმოყრილნი და ყველა მოწინააღმდეგესთან დიდი ბრძოლა გვიწევს.

***– ზოგადად, ყველა სათამაშო რგოლი რომ დაახასიათოთ...***

– საბურთალო კარგად დაბალანსებული კლუბია. წლეულს ჩვენ ნაყოფიერი სელექცია გავწიეთ, დავიმატეთ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი. ჩვენს გუნდურობას გამოვარჩევდი, ზოგადად კი რომელიმე რგოლის გამოყოფა ძალიან მიჭირს.

***– უკანასკნელი ოთხი მატჩი ტრადიციულ და გამოცდილ კლუბებთან მოგიწიათ (დინამო თბ 1:0, ტორპედო 2:0, ჩიხურა 1:2, სამტრედია 1:0), სადაც საბურთალომ კარგად წარმოაჩინა თავი. როგორ ფიქრობთ, მზადაა კლუბი ასეთ მეტოქეებთან ჭიდილისთვის?***

– საბურთალო საქართველოში საუკეთესო თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესოა. გვყავს საუკეთესო აკადემია, სადაც ძალიან ნიჭიერი ბავშვები იზრდებიან. ამ ბავშვებს კვალიფიციური და კარგი მწვრთნელები ხელმძღვანელობენ. ათეულ წელზე მეტია, კლუბის წარმომადგენლები მის წინსვლასა და განვითარებაზე გეგმაზომიერად მუშაობენ. შესაძლოა, სხვა კლუბებთან შედარებით ნაკლები ტრადიცია გვაქვს, თუმცა ჩვენც უკვე დიდ კლუბად ჩამოვყალიბდით.

***– მიმდინარე ეროვნულ ლიგაში საბურთალო ორჯერ დამარცხდა. რა იყო ამ წაგებების მიზეზი?***

– ლოკომოტივმა ჩვენს წინააღმდეგ კარგად ითამაშა. არც ჩვენ ვითამაშეთ ურიგოდ, ბევრი საგოლე მომენტიც გვქონდა, მაგრამ არ გაგვიმართლა, გოლის გატანა ვერა და ვერ მოვახერხეთ. რაც შეეხება ჩიხურასთან წაგებულ შეხვედრას – საჩხერეში ძალიან ცუდი მინდორი იყო. იმერლებთან გოლი გავიტანეთ, გვქონდა საგოლე მომენტებიც. ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში ხელსაყრელ პოზიციაზე გავდიოდით, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. რომ არა მსაჯის შეცდომა, იმ მატჩს აუცილებლად მოვიგებდით.

***– საბურთალოს ჩიხურასთან ერთად საკუთარ კარში ყველაზე ნაკლები, 6 ბურთი აქვს მიღებული, არადა, მოსამზადებელ შეკრებაზე გუნდი ყოველ თამაშში მინიმუმ გოლს უშვებდა. რა შეიცვალა?***

– შეკრებაზე, როდესაც გუნდი ამხანაგურ მატჩებს ატარებს, ბევრი ექსპერიმენტებია, სხვადასხვა შემადგენლობით გიწევს თამაში. საბურთალო კარგად მუშაობს გუნდური თავდაცვისას და ამიტომაცაა, რომ ცოტა ბურთი აქვს გაშვებული.

***– არა აქვს მნიშვნელობა, გუნდი იგებს თუ აგებს, სასტარტო შემადგენლობაში ხშირად როტაციას მიმართავთ. შემადგენლობას როგორ ირჩევთ, ვინც კონკრეტული თამაშისთვის არის მზად თუ მეტოქიდან გამომდინარე?***

– საბურთალოს თავისი სათამაშო სტილი და ხელწერა აქვს. როტაცია გუნდში აუცილებელია. ვინც მზად იქნება კონკრეტული მატჩისთვის, ის დაიწყებს თამაშს თერთმეტეულში.

***– წლევანდელ ეროვნულ ლიგას საბურთალო ლიდერობს. როგორ აფიქსირებთ, კლუბის მიმართ ინტერესი და ცნობადობა გაზრდილია?***

– როდესაც შეიქმნა ეროვნული ლიგის ოფიციალური ვებგვერდი, ფეხბურთისადმი ინტერესი უფრო გაიზარდა. აღნიშნულმა ვებგვერდმა ძალიან ბევრი ქომაგი შეიძინა. ინტერნეტით პირდაპირ ეთერში გადაიცემა მატჩები, ასევე სხვადასხვა ტელევიზიის საშუალებებით ხდება შეხვედრების ტრანსლირება. თავისთავად, საბურთალოს ცნობადობა და მისდამი ინტერესი იზრდება. ეს ყოველივე ფეხბურთელების დამსახურებაა, რადგან თამაშობენ სანახაობრივ და შედეგიან ფეხბურთს. საბურთალო უნიკალური კლუბია, რომელიც ატარებს თბილისის ერთ-ერთი უბნის სახელს. დედაქალაქში საბურთალო ერთ-ერთი დიდი რაიონია. ვფიქრობ, კლუბს უფრო მეტი გულშემატკივარი უნდა ჰყავდეს. ძალიან გვინდა საბურთალოს სახელი ევროპაში გავიტანოთ.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ბრტყელი დედამიწის მიმდევრები გრავიტაციას უარყოფენ

ბრიტანეთის ქალაქ ბირმინგემში ბრტყელი დედამიწის თეორიის მომხრეების პირველი კონფერენცია გაიმართა დიდ ბრიტანეთში.

დაახლოებით 200 ადამიანი სამი დღის განმავლობაში, ქალაქის განაპირას მდებარე სამვარსკვლავიან სასტუმროში მსჯელობდა იმაზე, თუ სინამდვილეში როგორი ფორმისაა ჩვენი პლანეტა.

– ადამიანებმა გამოფხიზლება დაიწყეს, – აღნიშნა კონფერენციის ორგანიზატორმა გერი ჯონმა, – ჩვენ უკვე ვხედავთ ბრტყელი დედამიწის თეორიის მიმართ დიდ დაინტერესებას და ასევე სულ უფრო მეტ უნდობლობას ხელისუფლებების მიმართ.

კონფერენციის მრავალი მონაწილე იზიარებს იმ შეხედულებას, რომ დედამიწა წარმოადგენს დისკს, რომელიც ყინულის კედლითაა შემოსაზღვრული. სხვები დარწმუნებულები არიან, რომ პლანეტა გადახურულია მყარი ზეცით, რომელიც ნახევარსფეროს ფორმისაა. ასევე არსებობს შეხედულება, რომ კაცობრიობა გადაჯაჭვულ რგოლებზეა დასახლებული.

ერთ-ერთმა გამომსვლელმა განაცხადა, რომ დედამიწას რომბის ფორმა აქვს და ის ბოძებს ეყრდნობა. მისი მტკიცებით, პლანეტის კიდეზე მოქმედებს პეკმანის ეფექტი – დროისა და სივრცის დამახინჯება, რომელიც ობიექტების დედამიწის საპირისპირო მხარეზე ახდენს ტელეპორტირებას.

ბრტყელი დედამიწის ექსპერტების გამოსვლები დარბაზიდან კმაყოფილი შეძახილების თანხლებით მიმდინარეობდა, ხოლო როდესაც ეკრანზე ნასას მიერ გადაღებული ვიდეო გამოჩნდა, დარბაზში სიცილი და სტვენა გაისმა.

# ზვიგენი წინაღობას გადაახტა და დამსვენებლებთან აღმოჩნდა



ავსტრალიის კვინსლენდის შტატში ზვიგენი გასაბერ ღობეს გადაახტა და ზღვის იმ შემოღობილ ნაწილში აღმოჩნდა, რომელშიც დამსვენებლები ცურავენ.

დაახლოებით მეტრ-ნახევარი სიგრძის მტაცებელი თევზი ადგილობრივმა მცხოვრებმა შენიშნა, რომელიც პლაჟზე ოთხი წლის გოგონასთან ერთად იყო მისული.

– ზვიგენი ბადესთან ტრიალებდა, ნაპირთან ძალიან ახლოს მოდიოდა, შემდეგ კი უკანვე ბრუნდებოდა, – განაცხადა ქალმა.

მისივე თქმით, მას იმის გაფიქრებაც კი შიშს ჰგვრიდა, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო, მისი გოგონა ჩვეულებისამებრ მაშინვე წყალში რომ ჩასულიყო. საბედნიეროდ, ბავშვმა ზვიგენი შენიშნა და ამიტომ აღარ ჩავიდა წყალში.

ავსტრალიელმა ქალბატონმა მტაცებელი თევზი ვიდეოზე გადაიღო და შემდეგ ის ფეისბუქზე განათავსა, სადაც ვიდეორგოლი 200 ათასამდე ადამიანმა ნახა, ორი ათასზე მეტმა კი გააზიარა.

# მგზავრმა თვითმფრინავის შემოწმების მიზნით გასაბერი ტრაპი გახსნა



ჩინეთში მგზავრმა გადაწყვიტა, მიწაზე დაშვების შემდეგ თვითმფრინავი შეემოწმებინა და საავარიო გასასვლელი გახსნა.

25 წლის მამაკაცი, რომელიც კუნძულ ჰაინანიდან ჩამოფრინდა, ჩინეთის პროვინცია სიჩუანის ქალაქ მიანიანის აეროპორტში დაშვებული თვითმფრინავიდან ჩამოსვლას ელოდა.

– ვინაიდან თვითმფრინავში ცხელოდა და უჰაერობა იყო, მე უბრალოდ ჩემი სავარძლის მახლობლად ფანჯარასთან სახელურს დავაწექი, – განაცხადა მგზავრმა.

აღნიშნული სახელური ავარიული ევაკუაციისთვის იყო განკუთვნილი. მისი გადატრიალების შემდეგ ავარიული გასასვლელი გაიხსნა და ის ასაფრენ ზოლზე დაეცა. ამის შემდეგ გაოგნებული მგზავრის თვალწინ გასაბერი ტრაპი გაიშალა.

– როდესაც კარი მოძვრა, მე პანიკამ შემიპყრო, – ამტკიცებს მამაკაცი. მისი თქმით, მან არ იცოდა, რომ მისი ქმედების შედეგად ავარიული კარი გაიხსნებოდა. ავიაკომპანიას კი მისი სიტყვების სიმართლეში ეჭვი ეპარება, ვინაიდან ბორტგამცილებლები მგზავრებს ყოველი რეისის დასაწყისში სახელურის დანიშნულების თაობაზე ინფორმაციას აწვდიან.

პოლიციამ ახალგაზრდა მამაკაცი 15 დღით დააკავა. გარდა ამისა, ის 70 ათასი იუანით დააჯარიმეს. ეს თანხა ავიაკომპანიისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას მოხმარდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# პორშეს გამტაცებელი პოლიციას ვერ გაექცა



კანადის ქალაქ ტორონტოში ახალგაზრდა მამაკაცმა პორშეს კაბრიოლეტი გაიტაცა და ქუჩის რბოლები გაუმართა გზაზე მოძრავ აუდი რ8-ის მძღოლს. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო იუთუბიზე იქნა განთავსებული.

პოლიცია თავზეხელაღებულ მრბოლელებს გაეკიდა. აუდის მძღოლმა მიმალვა მოახერხა, მანქანის გამტაცებელს კი ნაკლებად გაუმართლა და ხაფანგში აღმოჩნდა. როდესაც მიხვდა, რომ წინ გზა გადაკეტილი იყო, ავტომობილი სამართალდამცავების მანქანისკენ მიმართა, რათა ზღუდე გაერღვია, მაგრამ პოლიციის ყველგანმავალს ვერაფერი დააკლო.

პოლიციელებმა საკუთარი მანქანით სპორტული ავტომობილის კარი ჩაკეტეს, თუმცა გამტაცებელმა მაინც მოახერხა მანქანიდან ამოძრომა და გაიქცა.

ხანმოკლე გარბენის შემდეგ დამნაშავე პოლიციელებმა მაინც შეიპყრეს.

# ასტროპროგნოზი

## 4 მაისისათვის



**ვერძი** – წინააღმდეგობრივი დღეა. შესაძლოა მოგატყუონ. ილუზიებს არ აჰყვეთ. **კურო** – საკუთარი თვალსაზრისის დაცვა არ გაგიჭირდებათ. შესაძლოა ძველ მეგობართან კავშირი აღადგინოთ **ტყუპები** – საყიდლებზე წასასვლელად იღბლიანი პერიოდია. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. ნათესავებთან ურთიერთობა უმჯობესდება. **კირჩხიბი** – ახალი კონტაქტებისათვის შეუფერებელი დღეა. ავანტიურაში არ ჩაერთოთ. **ლომი** – დღეს ზედმეტი აქტიურობა, სარისკო ოპერაციებში მონაწილეობა დაუშვებელია. პასუხისმგებლობას ნუ გაექცევით. **ქალწული** – მატერიალური მდგომარეობით უკმაყოფილო ხართ. დროა, შემოსავლის ახალი წყარო მოძებნოთ. **სასწორი** – ბევრი საქმე დაგიგროვდათ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და თავმდაბლად იმუშავეთ. პროვოკაციებს არ წამოეგოთ. **ღრიანკალი** – საქმე ხარისხიანად და სწრაფად აკეთეთ. საღამოს უთუოდ დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა. სამოგზაუროდ წასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. ახალი შთაბეჭდილებები ენერგიას შეგმატებთ. **თხის რქა** – ნებისმიერი აგრესია გამორიცხეთ. გარშემომყოფებს საშუალება მიეცით, თავიანთი საუკეთესო თვისებები წარმოაჩინონ. **მერწყული** – დაიცავით ზნეობა, ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი. საკუთარი შეცდომები გააანალიზეთ და გამოასწორეთ. **თევზები** – დღის პირველ ნახევარში მრავალი საზრუნავი გაქვთ. ნებისმიერი კაპიტალდაბანდება სარისკოა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. მაროკოს დედაქალაქი; 2. ისტორიული სამთავრო სამცხე-ჯავახეთში; 3. ომების მოწინააღმდეგე ადამიანი; 4. მარცვლეულის, ფქვილეულის ვაჭარი ძველად; 5. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 8. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; 9. ცხენოსნობის მასწავლებელი; 12. თაღლითი ბანქოს თამაშში; 14. სანადირო თოფით სასროლი ყველაზე წვრილი კალიბრის საფანტი; 16. საშობაო სიმღერა.

**თარაზულად**: 1. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. ინკუბატორში გამოჩეკილი წიწილების გამოსაზრდელი მოწყობილობა; 9. ხის პატარა ხიდი; 10. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი; 11. ბეისბოლისტის ერთ-ერთი ამპლუა; 13. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 15. მდინარე ტოკიოში; 17. საგნების მხატვრული კონსტრუირება; 18. მაღალხარისხოვანი პერგამენტის ქაღალდი; 19. ფრანგული საიუველირო ფირმა; 20. ფრანგი კომედიოგრაფი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჩოჩორი; 2. თოიძე; 3. გრემიო; 4. სკოპიე; 6. იამაიკა; 9. ტურნე; 11. იურმალა; 15. სეიდებადი; 16. ოაზისი; 17. ყინწვისი; 19. ოლსტერი; 21. ბაზიერი; 22. ჰამამი.

**თარაზულად:** 5. კოლორადო; 7. არეშიძე; 8. ბოლერო; 10. წურბელა; 12. იუანი; 13. წრუტო; 14. ბონისტიკა; 18. ნამყო; 20. საცივი; 23. ჯაგერი; 24. ზღვა; 25. პასივი; 26. მუდო; 27. არაქისი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბადაგი; 2. პეჟო; 3. ბალდავაძე; 4. კინტო; 5. წახნაგი; 8. ნატალი; 9. ხორნაბუჯი; 12. კონცხი; 14. ხუდონი; 16. აშარი.

**თარაზულად:** 1. ბორისპოლი; 6. კაროლინა; 7. დრენაჟი; 9. ხენდრო; 10. თორა; 11. ბაიკერი; 13. ბახში; 15. გორილა; 17. მეოტიდა; 18. მცხეთა; 19. ბოინგი; 20. ფილიპსი.

# ბათუმში წმინდანების ხატები სანაგვეზე გადაყარეს



კალიგრაფისტმა გიორგი სისაურმა ბათუმში ერთ-ერთ სანაგვესთან ფოტო გადაიღო, სადაც აღბეჭდილია გადაყრილი წმინდანების ხატები და მსოფლიო შედევრების რეპროდუქციები.

**გიორგი სისაური:**

– ბათუმი... გადაყრილი წმინდანების ხატები, მსოფლიო შედევრების რეპროდუქციები და მრავალი სხვა.

# გიგი ადამაშვილმა ქველმოქმედებისთვის იმღერა

მომღერალმა გიგი ადამაშვილმა ქველმოქმედებისთვის იმღერა. მან თურქეთში გამართა კონცერტი, სადაც ყველა ბილეთი წინასწარ გაიყიდა.



ერთი კონცერტისთვის ჩაფრენილი მომღერალი თურქეთში მეორე დღესაც დარჩა, რადგან, ქართველი ემიგრანტების გადაწყვეტილებით, მან კიდევ ერთი კონცერტი ჩაატარა.

კონცერტი საქველმოქმედო იყო და მოგროვილი თანხით ლუკა გოგელიას დაეხმარნენ.

# ჩინელი ტურისტი მყრალი სუნის გამო დააპატიმრეს



მექსიკის ხელისუფლებამ ჩინელი მოგზაური მას შემდეგ დააპატიმრა, რაც მის ჩანთაში გადაშენების პირას მყოფი თევზის ნაწილები აღმოაჩინეს.

მეხიკოს საერთაშორისო აეროპორტის თანამშრომლებმა ტურისტის ბარგიდან გამომავალი მძაფრი სუნი იგრძნეს და ჩხრეკის შედეგად მის ორ ჩანთაში თევზ ტოტაბას 416 ცალი საცურაო ბუშტი აღმოაჩინეს. 600 დოლარის ჯარიმის სახით გადახდის შემდეგ ჩინელი პირობითად გაათავისუფლეს.

ტოტაბას საცურაო ბუშტი ჩინეთის შავ ბაზარზე 20 ათას დოლარად ფასობს. ტრადიციულ მედიცინაში ეს ორგანო გამაახალგაზრდავებელი თვისებების მატარებლად ითვლება. მისი ვაჭრობით ბრაკონიერები და ნარკოდაჯგუფებების წევრები არიან დაკავებული, რომლებმაც თევზის ამ ორგანოს „ზღვის კოკაინი“ დაარქვეს.

# მსოფლიოში ცნობილი პიანისტი, ლუკაშ ვონდრაჩეკი, თბილისში დაუკრავს



6 მაისს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში „ელისო ვირსალაძის ცენტრის“ ორგანიზებით მსოფლიოში სახელგანთქმული ჩეხი პიანისტის ლუკაშ ვონდრაჩეკის კონცერტი გაიმართება.

ლუკაშ ვონდრაჩეკი ბრიუსელის დედოფალ ელისაბედის პიანისტთა კონკურსის 2016 წლის გრან-პრის მფლობელია. მას ახალი თაობის ერთ-ერთ საუკეთესო პიანისტად მიიჩნევენ და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. იგი მართავს კონცერტებს ისეთ დირიჟორებთან, როგორებიც არიან პაავო იარვი, ჯანანდრეა ნოსედა, მარინ ოლსოპი, კრისტოფ ეშენბახი, პიეტრი ინკინენი, ვასილი პეტრენკო, იაკუბ ჰრუშა, ანუ ტალი, ქსიან ჟანგი, კშიშტოფ ურბანსკი, სტაფან დენევი და ალექსანდრე ლაზარევი.

ლუკაშ ვონდრაჩეკის საკონცერტო გრაფიკი მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტსა და ქალაქს მოიცავს. ნიუ იორკის კარნეგი ჰოლის, ლონდონის უიგმორ ჰოლის, ამსტერდამის კონსერტხებაუს, ვენის კონცერტჰაუზის, ციურიხის ტონჰალეს მსმენელი ფეხზე ამდგარი უკრავდა მას ტაშს. საქართველოში ლუკაშ ვონდრაჩეკმა პირველად 2017 წლის შემოდგომაზე დაუკრა, მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე თელავში, ახლა კი თბილისელი მსმენელის წინაშე წარდგება.

6 მაისს თბილისში ლუკაშ ვონდრაჩეკი ბრამსის, სმეტანასა და შუმანის ნაწარმოებებს შეასრულებს.

# ჯგუფი „ირიაო“ პორტუგალიაში გაემგზავრა



ეთნოჯაზბენდი „ირიაო“ პორტუგალიაში გაემგზავრა, სადაც ლისაბონში ევროვიზია 2018-ზე საქართველოს წარადგენს.

ბენდმა კონკურსზე წასვლამდე მაყურებლისთვის განსაკუთრებული სიურპრიზი მოამზადა. მათ „ევროვიზიის“ შარშანდელი გამარჯვებულის სალვადორ სობრალის სიმღერის ახლებური ვერსია შექმნა. სიმღერის ახლებური არანჟირება ბენდის მუსიკალურ ხელმძღვანელ დავით მალაზონიას ეკუთვნის.

როგორც „ირიაოს“ წევრებმა გამგზავრებამდე განაცხადეს, მათ იმედი აქვთ, რომ სამშობლოში გამარჯვებული დაბრუნდებიან. ჯგუფ „ირიაოს“ წევრებთან ერთად ლისაბონში გაემგზავრა რეჟისორი ზაზა ორაშვილი და ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი ნათია მშვენიერაძე.

როგორც „ირიაოს“ ხელმძღვანელმა დავით მალაზონიამ განაცხადა, ლისაბონში, „ალტის არენას“ სცენაზე, პირველი რეპეტიცია ძალიან წარმატებული იყო.

– კომფორტი არის სიტყვა, რომელიც ყველაზე უკეთესად მიესადაგება იმას, რაც დღეს ჩვენ შევიგრძენით. ძალიან კარგი მომსახურება და გულთბილი მხარდაჭერაა მასპინძლებისგან, რამაც საშუალება მისცა ბიჭებს, მთლიანად გახსნილიყვნენ და უკვე სხვანაირი ხარისხით წამოვიდა ეს სიმღერა, ყოველ შემთხვევაში, ძალიან წარმატებული იყო პირველი რეპეტიცია. გვქონდა საშუალება, გვენახა ვიდეო და ჩვენი შენიშვნებიც გავუზიარეთ. საქმიანი და გულთბილი ატმოსფერო იყო.

„ირიაომ“ ევროვიზია 2018-ის საკონკურსო სიმღერა საერთაშორისო მაყურებლის წინაშე პირველად კონკურსის წინასამზადისის ფარგლებში გამართულ მიღებაზე ისრაელში შეასრულა, სადაც დაგეგმილ კონცერტში მონაწილეობა 43 ქვეყნის კონკურსანტმა მიიღო. თელ-ავივში გაშლილ წითელ ხალიჩაზე ყველა კონკურსანტმა გაიარა. ქართველები ისრაელში ჩოხებში გამოწყობილები გამოცხადდნენ. მათ მედიისა და სხვა კონკურსანტების დიდი მოწონება დაიმსახურეს. ისმოდა შეძახილები: „ბრავო, ჯორჯია“. მათ ასევე იმღერეს „იავნანა“ ებრაულ ენაზე, რომელიც სპეციალურად ამ კონცერტისთვის მომზადდა.

საქართველოს სახელით ქულებს ევროვიზიაზე თამარა გაჩეჩილაძე გამოაცხადებს. მომღერალი ლისაბონს პირდაპირ ეთერში 12 მაისს ჩაერთვება და ქართველი ჟიურის მიერ დაწერილ ქულებს ევროპას გააცნობს. თამარა გაჩეჩილაძე ევროვიზიის 2017 წლის მონაწილეა. ქვეყანა მომღერალმა კიევში წარადგინა.

2018 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსის ნახევარფინალები – 8 და 10 მაისს, ხოლო ფინალი 12 მაისს ჩატარდება. ეთნოჯაზბენდი „ირიაო“ ევროვიზიის მეორე ნახევარფინალურ ტურში 10 მაისს წარდგება.

63-ე კონკურსი წელს პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში ტარდება და მასში 43 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ნინო ანანიაშვილი ელჩი გახდა

ქართველი პრიმაბალერინა, საქართველოს საბალეტო დასის ხელმძღვანელი, ნინო ანანიაშვილი, სტატუს დონატესის კეთილი ნების ელჩი გახდა.

ამ ახალი წოდების მიღების შემდეგ ნინო ანანიაშვილი პლატფორმას ახალგაზრდა ხელოვანების მხარდაჭერაში დაეხმარება.

ბალერინასთვის ახალგაზრდებისა და ნიჭიერების მხარდაჭერა და დახმარება უცხო არ არის, რადგან მისი ხელშეწყობით არაერთი ნიჭიერი ხელოვანი გამოვლინდა.



# რუსი იუმორისტები თბილისში კონცერტს გამართავენ

რუსი იუმორისტები 4 მაისს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტს გამართავენ.

ივან აბრამოვის სთენდ აპ-ის სპეციალური სტუმარი ვიქტორ კამაროვი იქნება. ის კომიკოსი, დიპლომატი, პაროდისტი, მამა და სთენდ აპ-ის ყველაზე მუსიკალური კომედიანტია. აბრამოვი თავის გამოსვლას მუსიკალურ აკომპანემენტს ურთავს. ივანის ხელწერა და განსხვავებული მუშაობის მეთოდი მკვეთრად გამოიხატება მის შემოქმედებაში. ის უკრავს, მღერის, ართობს აუდიტორიას, ასახიერებს ცნობილ ადამიანებს.




– იმისათვის, რომ გახდე სტენდ აპ კომიკოსი, აუცილებელია, მუდამ იმუშაო საკუთარ თავზე, იზრუნო თვითგანვითარებაზე და არ მისცე საკუთარ თავს მოდუნების საშუალება, – აცხადებს იუმორისტი.

ივანის ნომრების თემატიკა ძალიან მარტივად გასაგებია. ის მრავალ განსხვავებულ საკითხს ეხება, განსაკუთრებით პირდაპირ და დაუფარავად – საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების აქტუალურ მოვლენებს, აგრეთვე თავის გამოსვლებში ბევრს გვიყვება ოჯახზეც.

რუსი იუმორისტების თბილისურ საღამოს გახსნის მოწვეული სტუმარი ვიქტორ კომაროვი, რომელიც განსაკუთრებული პროგრამით წარდგება ქართველი მაყურებლის წინაშე, ხოლო სტენდ აპ-ის ვარსკვლავი ივან აბრამოვი მუსიკალური ნომრებით, მონოლოგითა და პაროდიებით იზრუნებს მაყურებლის განწყობის ამაღლებაზე.

# სამხრეთკორეელმა დამლაგებელმა 300 ათასი დოლარის ოქრო იპოვა

სამხრეთ კორეის აეროპორტ ინჩხონში დამლაგებელმა ნაგვის ურნაში 350 მილიონი ვონის (დაახლოებით 330 ათასი დოლარი) ოქროს ზოდები იპოვა.



პოლიციამ იმ პიროვნების ვინაობა დაადგინა, რომელმაც ოქროს ზოდები თავიდან მოიშორა, თუმცა მასზე ინფორმაციის გავრცელებისგან თავს იკავებს.

კანონის თანახმად, თუ მფლობელი დანაკარგის თაობაზე განცხადებას ნახევარი წლის განმავლობაში არ გააკეთებს, მაშინ ნაპოვნის ოქროს საბაზრო ღირებულების ხუთიდან 20 პროცენტამდე (16-65 ათასი დოლარი) მისი მპოვნელი მიიღებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პოლიციაში დაასკვნეს, რომ ძვირფასი ლითონის მფლობელმა ის იმიტომ მოიშორა თავიდან, რომ დაპატიმრებისთვის თავი აერიდებინა. იმ შემთხვევაში, თუ ოქრო მოპარული ან რამე სახით დანაშაულებრივ საქმიანობასთან იქნება დაკავშირებული, მაშინ დამლაგებელი ვერაფერს მიიღებს.

# კატა პოლიციას ნიუ იორკის აეროპორტში ემალებოდა

ნიუ იორკის ჯონ კენედის სახელობის აეროპორტში დაიჭირეს კატა, სახელად პეპერი, რომელიც ერთ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში ახერხებდა, პოლიციელებთან შეხვედრისთვის თავი აერიდებინა.

კატა პატრონს იმ დროს გაექცა, როდესაც ის ჩინეთის რეისზე ჩასაჯდომად ემზადებოდა. მას ცხოველის გარეშე გაფრენა მოუხდა, ის კი ნიუ იორკში დარჩა. პოლიციელებმა პეპერი რამდენჯერმე შენიშნეს, მაგრამ მის დაჭერას ვერ ახერხებდნენ.

ბოლოს სამართალდამცავებს ქალაქ ჯერსი-სიტის მცხოვრები ნუან ტანი დაეხმარა, რომელიც პეპერის პატრონს იცნობდა. ის აეროპორტში მივიდა და კატა ჩინური სახელით დაი მენით მიიხმო. ცხოველი ნაცნობ ხმას გამოეხმაურა და ქალს საშუალება მისცა, ის სპეციალურ გადასაყვან გალიაში მოეთავსებინა. ნუან ტანი პეპერის მისი პატრონისთვის წასაყვანად ემზადება.




*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**4 მაისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4563

ევრო — 2.9488

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3563

100 რუსული რუბლი — 3.8531

## ამინდის პროგნოზი 4 მაისისთვის





## 3 მაისიდან

### „50 ცნობილი ქართველი ქალის 300 რეცეპტი“




წიგნი ა4 ფორმატისაა, აქვს მაგარი ყდა, დაბეჭდილია ცარცის ქაღალდზე და მთლიანად ფერადია.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**


## იუმორი



საწარმოს თანამშრომელი დირექტორს მიმართავს:

– ბატონო დირექტორო, მინდა რაღაც გითხრათ.

– გისმენთ! ბრძანეთ!

– ჩვენი უბედური თანამშრომელი დაიღუპა და შემიძლია, რომ მისი ადგილი დავიკავო?

– წინააღმდეგი არ ვარ. მაგ საკითხზე რიტუალური მომსახურების ბიუროს შეუთანხმდით.

•••

საავადმყოფოს პალატაში ცოლი ქმარს ეუბნება:

– როგორი აუტანელი ხარ!

– რატომ ვარ აუტანელი?

– შეიძლება უკანასკნელად გხედავ ცოცხალს და შენ კი ჩემი ახალი ქუდი არც კი შეგინიშნავს!

•••

მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალა დაეწერათ თხზულება თემაზე „რას გავაკეთებდი, მილიონი რომ მქონდეს?“

ოცი წუთის შემდეგ მასწავლებელთან გიგი მიდის, გამოთვლებით აჭრელებულ ფურცელს უწვდის და ეუბნება:

– კიდევ ცხრაას ოთხი ათასს ვერ დამიმატებდით?

•••

ხანშიშესული მამაკაცი სექსოპათოლოგს ეუბნება:

– ექიმო, სქესობრივი აქტის დასრულების შემდეგ ყურებში ათი წუთის განმავლობაში სტვენა მესმის.

– უკაცრავად და, რამდენი წლის ხართ?

– სამოცდახუთის.

– და აბა რა გინდათ რომ გესმოდეთ? აპლოდისმენტები?

•••

ტურისტი ეგვიპტეში ნილოსის ნაპირზე ზის და ანკესი აქვს მდინარეში ჩაგდებული. გავიდა ერთი საათი, ვერაფერი დაიჭირა, გავიდა ორი საათი, თევზი საერთოდ არ ჩანს. ამ დროს მდინარიდან ნიანგმა თავი ამოყო და ეკითხება:

– ვერაფერი დაიჭირე?

– ვერა.

– გცხელა?

– ჰო.

– სული გეხუთება?

– ჰო.

– ხომ არ იბანავებდი?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## ბოაი



ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

სასწრაფო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით


## ინიესტამ, შესაძლოა, კლასიკო გამოტოვოს



ბარსელონის ლიდერ ანდრეს ინიესტას მცირე ტრავმა აწუხებს, რის გამოც მან შეიძლება რეალთან შეხვედრა გამოტოვოს.

ინიესტამ განაცხადა, რომ ის ყველაფერს გააკეთებს, რათა ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღოს, რადგან ეს მისთვის ბოლო ელ-კლასიკო იქნება.

სეზონის ბოლოს ინიესტა ბარსელონას დატოვებს და ფეხბურთელმა ეს ფაქტი ოფიციალურად დაადასტურა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელ კლუბში გააგრძელებს კარიერას ინიესტა, თუმცა, სავარაუდოდ, ის ევროპაში არ დარჩება და ჩინეთს მიაშურებს, სადაც მისი შეძენა რამდენიმე გუნდს სურს.

## ალვარო მორატათი მილანი დაინტერესდა




ესპანელი ფორვარდი ალვარო მორატა ჩელსიში ბედნიერი არ არის და ამ გუნდის დატოვება სურს. მორატას შეძენა საკმაოდ ბევრ კლუბს უნდა და მათ შორის არის იტალიური მილანიც, რომელიც მზადაა, მორატას ტრანსფერში სოლიდური თანხა გადაიხადოს.

მორატამ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას იტალიაში სურს დაბრუნება, თუმცა კონკრეტული კლუბი არ დაუსახელებია. რამდენიმე წლის წინ მორატა იუვენტუსის ღირსებას იცავდა, სადაც ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც გავიდა.

ჩელსიში მორატა 2017 წლის ზაფხულში გადავიდა და ჯერჯერობით იქ თავის დამკვიდრება ვერ შეძლო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## პორნომსახიობმა ტრამპს უჩივლა




ამერიკელმა მსახიობმა სტორმი დენიელსმა, რომლის ნამდვილი სახელია სტეფანი კლიფორდი, სასამართლოს სარჩელით აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის წინააღმდეგ მიმართა.

აღსანიშნავია, რომ საუბარია ადამიანის პორტრეტზე, რომელიც ვითომდა დენიელსსა და მის გოგონას ლასვეგასში ავტოსადგომზე ემუქრებოდა, მსახიობს მოუწოდებდა, თავი დაენებებინათ ტრამპისთვის. აპრილის შუა რიცხვებში ტრამპმა ტვიტერში განათავსა წერილი, რომელშიც გამოსახულებას „არარსებული ადამიანის სკეტჩი“ უწოდა.

– ცუდი ნამუშევარია, რომლიც ფეიკ-ნიუს მედიამ სულელებისთვის დაამზადა, – დაწერა ტრამპმა.

დენიელსის ადვოკატების მიერ გაკეთებული მიმართვის თანახმად, ტრამპი ეროვნულ და საერთაშორისო აუდიტორიას, რომელიც მილიონობით ადამიანისგან შედგება, იმისთვის იყენებდა, რომ ცრუ განცხადებები გაეკეთებინა, ისეთი, რომელიც მსახიობს აზარალებს.

## მელანია ტრამპის ცვილის ფიგურა მადამ ტიუსოს მუზეუმში გამოფინეს



აშშ-ის პირველი ლედის მელანია ტრამპის ცვილის ფიგურა დაიდგა მადამ ტიუსოს მუზეუმის ნიუ იორკის ფილიალში.

დონალდ ტრამპის მეუღლის ფიგურას აცვია ლურჯი კაბა და მან ადგილი მეუღლის ცვილის ფიგურის გვერდით დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ტრამპებმა თავიანთი ოფიციალური თანხმობა მისცეს თავიანთი ორეულების განთავსებაზე.

მუზეუმის დამთვალიერებლებს არა მხოლოდ მელანიას თოჯინას მის ორიგინალთან მსგავსების შემოწმება შეეძლებათ, არამედ სიტყვის მოსმენაც. ექსპოზიციის რანგში გამოფენის დამთვალიერებლებს შეეძლებათ, ტვიტერში მუზეუმის გვერდზე შეტყობინებები გამოაქვეყნონ პრეზიდენტის მეუღლის სახელით.

## მოდილიანის ნახატი აუქციონზე რეკორდულ ფასად გამოიტანეს



სოტბის აუქციონის სახლმა გასაყიდად გამოიტანა იტალიელი მხატვრის ამადეო მოდილიანის სურათი „შიშვლად მწოლიარე“, რომლის საწყისი ფასი 150 მილიონი დოლარია.

აღსანიშნავია, რომ ადრე საწყისი ფასის რეკორდი პაბლო პიკასოს სურათ „ალჟირელ ქალებს“ ეკუთვნოდა, რომელიც მხატვარმა 1955 წელს დახატა. ექსპერტებმა ის 140 მილიონად შეაფასეს, ხოლო მყიდველმა მასში 179 მილიონი გადაიხადა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. სახარატო ჩარხის ნაწილი, რომელშიც საჭრისი მაგრდება; 2. ქართველი თეატრალური მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 3. მობილური ტელეფონების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 4. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 5. მწვადის შესაწვავი თავლია ღუმელი; 9. მორალი ანუ...; 11. მსხვილი სოსისი; 12. ფრანგი კომიკოსი; 14. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი პაიკის ან ფიგურის შეწირვით; 18. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 19. აეროპორტი პეკინში.

**თარაზულად**: 4. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 5. მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი, იტალიელი კომპოზიტორი; 6. ფერადი ლითონის თხელი ფირფიტა საკვები პროდუქტების შესაფუთად; 7. უღელტეხილი კახეთში; 8. არქიტექტურული პროექტის, სკულპტურის წინასწარი მონახაზი; 10. ქვანახშირის უჰაეროდ მიღებული მაღალხარისხოვანი საწვავი; 13. თიხის ცეცხლგამძლე ლაბორატორიული ჭურჭელი; 15. კვანტური გენერატორი; 16. მცირე ალკოჰოლიანი, გამაგრილებელი სასმელი; 17. ქართული ფოლკლორული ანსამბლი; 20. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 21. ფულის ერთეული კუვეიტში; 22. მეზღვაურთა მაუდის ქურთუკი; 23. ტყავის დამამუშავებელი ოსტატი ძველად.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*